პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 22 (13143) | ხუთშაბათი, 28 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადობის ატმოსფეროში

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის დელეგაციის მიღება სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

26 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრები ჯ. რ. დატი და უ. უეინრაიტი.

ამხრთა გაზიარების დროს ორივე პარტიის წარმომადგენლებმა განიხილეს საერთო მიზნის მიღწევის პრობლემები, როგორიც არის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების, მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირთა დოკუმენტების - საფუძველზე.

საუბარი მიმდინარეობდა გულახდილობისა და გულითადობის ატმოსფეროში, რაც დამახასიათებელია ორი მომძმე პარტიის ურთიერთობისათვის.

ხუთშაბათს დილაწერო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. გ. კორიონოვი.

სკკპ დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 26 იანვარს მოსკოვიდან ულან-ბატორს გაემგზავრა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. შიტიკოვი, სკკპ ბურიატეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. უ. მოდოგოევი და სხვები.

შერმეტიევის აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ი. ვ. ანდროპოვმა და ვ. ნ. ტიტოვმა და სხვებმა. (საკდესი).

გამოფენა ვოლგოგრადში

ვოლგოგრადში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ბოლონეთის გამოფენა „კოპენჰაგენიდან კოსმოსური რაკეტებამდე“. გამოფენა მოამზადა მოსკოველმა და ბარშაველმა სპეციალისტებმა. გამოფენა მნახველებს აცნობს კოსმონავტიკის განვითარების ისტორიას.

ბაზზეა თბილისი—ვილნიუსი

გამარჯვების ღლები

ოცი წლის წინათ, 1945 წლის 28 იანვარს ლიტვაში საბჭოთა არმიის ზარბაზნების უკანასკნელმა ზალპმა დაიქუხა. ამ დღეს ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორია მთლიანად იქნა განთავისუფლებული ფაშიზმის ულლისაგან.

გუშინ ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსს, რესპუბლიკურ გაზეთ „პიონერსკაია პრავდა“ რედაქციას. ტელეფონთან მოვიდა რედაქტორის მოადგილე ს. ლაუარაინიტისი.

თბილისი: გაზეთ „კომუნისტის“ მრავალათასიანი მკითხველის სახელით გილოცავთ ფაშისტური ულლისაგან განთავისუფლების ოცი წლის თავს. როგორ აღნიშნავს თქვენი რესპუბლიკა ამ თარიღს, როგორია თქვენი ქვეყნის მიღწევები ამ ოცი წლის მანძილზე?

ვილნიუსი: გმადლობთ. ოცი წლის წინთ, 28 იანვარს განთავისუფლებულ იქნა ლიტვის უკანასკნელი ქალაქი კლაიპედა და ხვალ სწორედ ამ ქალაქში დიდი ზეიმი იქნება. ლიტველი ხალხი ახალი გამარჯვებებით ეგებება ამ თარიღს. ფაშისტურმა ოკუპაციამ მძიმე ზარალი მოგვაყენა. ყოველ ხაბიჯზე შეხვდებოდით გაუბედურებულ ადამიანებს, დანგრეულ ქალაქებს. მაგრამ ჩვენმა ხალხმა ყველა საბჭოთა ხალხების დახმარებით სწრაფად მოიშუშა ჭრილობები. ლიტვა ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ, მაღალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რესპუბლიკად. 1940 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება 30-ჯერ გაიზარდა. აშენდა მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში იგზავნება.

რესპუბლიკაში განათლების ფართო ქსელი მოქმედებს. წელიწადში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები სახალხო მეურნეობისათვის გაცილებით მეტ სპეციალისტს უშვებენ, ვიდრე ბურჟუაზიული ლიტვის 20 წლის არსებობის მანძილზე იყო გამოშვებული. ლიტვაში მხოლოდ ერთი თეატრი იყო, ახლა კი 11 სახელმწიფო და ათობით სახალხო თეატრი მუშაობს.

შვიდწლედის დამაგვირგვინებელ წელს კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი წვლილი საერთო-სახალხო გამარჯვების საქმეში. ნათელი და ბედნიერია დღეს საბჭოთა ლიტვის ცხოვრება.

რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთები, რადიო და ტელევიზია ძირითად ადგილს უთმობენ ამ თარიღს.

ჩვენი ხვალინდელი ნომერი მთლიანად ეძღვნება ლიტვის განთავისუფლების 20 წლისთავს. ებეჭდავთ სპეციალურ მასალებს, ბევრია მოგონებები. ხვალ კლაპედაში ლიტვის სხვადასხვა მხრიდან ათასობით ტუმარი ჩამოვა. გვეწვევიან მოძმე რესპუბლიკებიდანაც. ხვალ დიდი სახალხო ზეიმი იქნება.

თბილისი: გმადლობთ საუბრისათვის. გთხოვთ საუკეთესო სურვილები გადასცეთ თქვენი გაზეთის მკითხველებს, მთელ ლიტველ ხალხს. ვუსურვებთ მათ ახალ გამარჯვებებს.

ვილნიუსი: სიამოვნებით შეავასრულებთ თქვენს თხოვნას. ჩვენი მხრიდანაც მიიღეთ კეთილი სურვილები.

თბილისი: გმადლობთ. ნახვამდის.

სურათზე: ქალაქ ვილნიუსის ხედი გედიმინასის კოშკიდან.

ფოტო ბ. ბუჩიალისის. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად

ახალი აგიტპუნქტები

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონში კარგად ნაია შეუდგნენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. პარტიის რაიკომმა შეიმუშავა საგბატაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გეგმა. სოფლებში ზედა დიმში, წითელხევში, ჭყალთაშუაში, აგრეთვე დაბა მაიაკოვსკის ნერგაძეებისა და სოფელ ობჩის მშვილდაძეების უბნებში დამატებით შეიქმნა ხუთი ახალი აგიტპუნქტი.

ამ დღეებში აქ გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების რაიონული საინსტრუქტაჟო თათბირი.

განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ამ დღეებში დაბა მაიაკოვსკის, წითელხევის, ვარციხის საბჭოთა მეურნეობის აგიტპუნქტებში, სადაც გამგეებად საშუალო სკოლის დირექტორი პ. ჩიქვინიძე, ექიმი ბ. ლილუაშვილი და მასწავლებელი მ. კობახიძე მუშაობენ.

დიდი სამზადისი

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამართეს საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირები, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას მიეძღვნა.

თათბირებზე უურადღება გამახვილებულ იქნა ქალაქად და სოფლად ამომრჩეველთა რაოდენობის დაზუსტებაზე, საარჩევნო ოლქების ფარგლების განსაზღვრაზე. ამას გარდა, პარტორგანიზაციათა მდივნებს პრაქტიკული რჩევა მიეცათ გააუმჯობესონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, დროულად გამონახონ სათანადო ადგილები აგიტპუნქტების მოსაწყობად, დააწესონ აგიტატორთა მორიგეობა, უზრუნველყონ კედლის გაზეთების გამოშვება, მოაწყონ ამომრჩევლებისათვის არჩევნების დებულების შინაარსიანი და ღრმა განმარტება.

დ. მაისურაძე.

საუბრები ამომრჩევლებთან

წითელწყაროში. (საკ. კორ.) ჯაფარიძე, ზემო მაჩხაანი, არხილოსკალო, ზემო ქედი... ყველგან გაჩაღდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ აგიტკოლექტივს თოთხმეტი აგიტატორი შეემატა. აგიტატორებმა გ. კოტაშვილმა, ი. ტალიაშვილმა, ს. კუნჩინმა, გ. ჯანაშვილმა, ვ. პაველოვამ არჩევნების დებულების შესახებ პირველი საუბრები გამართეს ამომრჩევლებთან.

აგიტპუნქტში (გამგე ვ. კობაძე) მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, იკითხება ლექცია-მოხსენებები საბჭოთა საარჩევნო სისტემის. პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესახებ.

კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ფესტივალის შესახვედრად

ექვსი თვის შემდეგ ალეიბში აინთება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალის ჩირაღდანი. ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში იწყება ფესტივალისათვის მზადება. ყოველდღიურ შრომითს დღეებში, ხელოვნების ოსტატთა კონკურსებზე, სპორტულ შეჯიბრებებში ქალაშვილები და ჭაბუკები იბრძვიან იმისათვის, რომ მიიღონ ალეირში ახალგაზრდობის დღესასწაულზე გამგზავრების უფლება.

შეიქმნა საბჭოთა კავშირის მოსამზადებელი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში არიან კოსმონავტი-მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირები ი. გაგარინი და ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, საბჭოთა არმიის სერჟანტი, ალეირის გაზეთ „ალეირ“ მონაწილე ვ. პრიადკო, ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ტიმურსკის“ ბრიგადირი აიტბეკ მუსაევი, კინომსახიობი ჟ. პროხორენკო, ივანოვოს მელანქარის კომბინატის ოსტატის თანაშემწე ა. ლებედევა, აკადემიკოსი ლ. სედოვი, ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე ვ. გუსელნიკოვი, მწერალი ჩ. აიტმატოვი, სულ სამოცზე მეტი კაცი. (საკდესი).

ბრძოლა ბანერებისთვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

სამუშაო ადგილზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივის ინიციატივა და მოუწოდა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს ჩაებან შეჯიბრებაში სამუშაო ადგილებზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის. ამისათვის საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს შრომის რაციონალური ხერხების დანერგვას, სამუშაო ადგილების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომის დანორმვის გაუმჯობესებას.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, რესპუბლიკის საწარმოთა ხელმძღვანელებს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, მუდმივად მოქმედ საწარმოო თათბირებზე და პროფჯგუფებში განიხილონ ურალელ მანქანათმშენებელთა გამოცდილება; სამუშაო ადგილებზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების შემუშავებაში ჩაბან სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებების პირველადი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, შრომის დანორმვის ბიუროები და მშრომელთა სხვა შემოქმედებითი გაერთიანებანი.

საოლქო პროფსაბჭოებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმონ შეჯიბრების ხელმძღვანელობის, სამუშაო ადგილებზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საკითხებს, მუდმივი დახმარება გაუწიონ სამრეწველო საწარმოთა შემოქმედებითს ბრიგადებს ამ მნიშვნელოვანი ნოვატორული თაოსნობის შესწავლასა და დანერგვაში. (საკდესი).

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ...

△ **თურქმენეთში** შეიქმნა მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი. ახალი სამეცნიერო დაწესებულების ამოცანა ის არის, რომ განაზოგადოს მეცნიერებისა და ტექნიკის, წარმოების ნოვატორთა მიღწევები, გაავრცელოს მოწინავე გამოცდილება, გასწიოს მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდა, მეთოდური დახმარება გაუწიოს ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებს რესპუბლიკის საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს.

△ **მხეირი** ველის დამპყრობი კვლავ უტევენ უდაბნოს. დაიწყო ორი ახალი ყამირის მეურნეობის მშენებლობა. — ერთ-ერთი მათგანი № 28 საბჭოთა მეურნეობა გადაიჭიმება თითქმის ათი ათას ჰექტარზე. ამჟამად ამ ტერიტორიაზე მშენებლები მუშაობენ. მეორე № 25 საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე დაიწყო მიწების დაგეგმვა. ამ საბჭოთა მეურნეობის ყანები დაიჭერს 8.400 ჰექტარზე მეტს.

△ **ტუიმენის** ხუთმეტ მცხოვრებს ერთდროულად შეუძლია ტელეფონით ელაპარაკოს ჩრდილოეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკს. ეს შესაძლებელი გახდა მრავალარხიანი ხაზის მეოხებით, რომელიც აშენდა ტიუმენის ოლქში. ხაზის სიგრძე რვაას კილომეტრამდეა.

△ **„ᲛᲔᲜᲐᲒᲝᲗᲝᲒᲝ“** — ასე ეწოდება ელექტრონულ საოსტიუმე ქსოვილს, რომელის წარმოება აითვისა აზერბაიჯანის ქამოილ-მაუდის ფირმამ „განთიადმა“. მომდინარე წლის სიახლეთა შორის არის ფერადი ქსოვილი „სევილი“, რომელშიც ფრაუფლია აცეტატის აბრეშუმი, ეფექტურად მოელვარე „გულნარა“, რომელიც ლავსანის ძაფებს შეიცავს, უკრედოვანი შალის ქსოვილი „ხარგეზი“. ფიქრობენ, გამოუშვეს ხაოიანი უქსოვი მატერიის პირველი ათასი მეტრი.

სსრ კავშირის მწერალთა ყრილობა გაიმართება 1966 წელს

მოსკოვი, 27 იანვარი, (საკდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მონაწილეთა წინაშე სსრ კავშირის მწერალთა მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ ინფორმაცია გააკეთა გამგეობის მდივანმა გ. მ. მარკოვმა.

პლენუმმა დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირის მწერალთა მორიგი, მეოთხე ყრილობა მოწვეულ იქნას 1966 წლის პირველ ნახევარში.



ბუნდესვერი: „ჩვენ გვინდა ახალ საფუძველზე განვავითაროთ ურთიერთობა აღმოსავლეთ მეზობლებთან“.

(წარწერა მაჩვენებელზე: „1937 წლის საზღვრები“, საყრდენზე: „ᲐᲮᲝᲛᲘᲠᲘ ᲜᲐᲚᲘ“).

ნახატი შრადესი, „ნოიეს დოიჩლანდი.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

თეირანი, 27 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით ირანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ამირ აბას ჰოვეიდამ ირანის შაჰს წარუდგინა კაბინეტი, რომელიც შექმნა. მთავრობის შემადგენლობა თითქმის მთლიანად იგივე დარჩა. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ასა არამი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ჯავად სადრი, სამხედრო მინისტრად — გენერალი ასადოლა სანია.

ირანის შაჰისათვის კაბინეტის წარდგენის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ამირ აბას ჰოვეიდამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალი მთავრობა განაგრძობს განსვენებული პრემიერ-მინისტრის მანსურის პოლიტიკას, რომლის მიზანია რეფორმების განხორციელება ირანში.

ᲢᲔᲘᲚᲝᲠᲡ ᲛᲘᲔᲩᲐᲠᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 27 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ელჩმა საიგონში გენერალმა ტეილორმა, რომელიც გუშინ ჩავიდა ბანგკოკში, დღეს მოულოდნელად შეწყვიტა „გაცნობის ვიზიტი“ ტაილანდსა და მეზობელ ლაოსში და სასწრაფოდ გაფრინდა საიგონში. ბანგკოკში მყოფმა ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა, უარი თქვეს პასუხი გაეცათ შეკითხვებზე, უკავშირდება თუ არა ტეილორის სასწრაფოდ გამგზავრება საიგონში სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის ახალ გადატრიალებას.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲓ!

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ჯანსაღი ტექნიკა გაზაფხულს! — ამ დევიზით შრომობენ ზამთრის დღეებში „სასოფლტექნიკის“ ლაგოდეხის რაიონული გაერთიანების სარემონტო სახელოსნოში. მმართველის შ. გოზალიშვილის, მთავარი ინჟინრის ვ. ბახტაძისა და სახელოსნოს გამგის მ. კერესელიძის ხელმძღვანელობით დილიდან დაღამებამდე არ წყდება დაზგა-დანადგარების ხმაური. გასული წლის მეოთხე კვარტალში აქ უნდა შეეკეთებინათ 36 ტრაქტორი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად დაეკალება 101 პროცენტით შეასრულეს.

ახლა სარემონტო სახელოსნოში ზეინკალი ი. კეკლიშვილი, ხარატები ი. გოზალიშვილი, ი. სოლონიკინი ტრაქტორის ყველა ნაწილს საგულდაგულოდ სინჯავენ, უკარგისს ახლით ცვლიან, შესაკეთებელს რემონტს უკეთებენ, გამზადებულ ტრაქტორებს გამოსაცდელ ნაკეთზე ამუშავებენ, თუ წუნი აღმოაჩნდა, მიზეზს არკვევენ, კვლავ სახელოსნოში აბრუნებენ. წელს პირველ კვარტალში გეგმით 45 ტრაქტორი უნდა შეაკეთონ. იანვრის 25 დღეში უკვე შეაკეთეს 37.

სახელოსნოში ნახავთ აგრეთვე კოლმეურნეობის შესაკეთებელ ტრაქტორს, სათეს მანქანას და სხვა ტექნიკას. მაგალითად, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ კოლმეურნე ტრაქტორისტმა ვ. მანაგაძემ ადგილზე მანქანა ვერ შეაკეთა, ამიტომ დახმარებისათვის მიმართა „სასოფლტექნიკის“ ლაგოდეხის რაიონული გაერთიანების სარემონტო სახელოსნოს მუშაკებს. აქაურმა მუშაკებმა დახმარების ხელი გაუწოდეს მექანიზატორ ვ. მანაგაძეს და მასთან ერთად სწრაფად, მაღალხარისხოვნად უკეთებენ რემონტს ტრაქტორს.

სახელოსნოში ბეჯითად მუშაობენ აგრეთვე სათესი მანქანების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებლად.

შრომის ავანგარდში

ახლა ქარელის რაიონის კოლმეურნეობების წევრები, საბჭოთა მეურნეობის მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ შვიდწლედის მეშვიდე წლის საგაზაფხულო თესვას. შრომის ავანგარდში არიან მექანიზატორები. რუისის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტს გ. ბალიაშვილს უკვე გამზადებული აქვს ტექნიკა. მექანიზატორი გ. ბალიაშვილი იმისათვის იბრძვის, რომ წელს 950 ჰექტარი მოხნას ნაცვლად შარშან მოხნული 936 ჰექტარისა.

კარგად ემზადებიან საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის სოფელ ფცის კოლმეურნეობაში. მზად აქვთ საგაზაფხულო კულტურების თესლი. მოწინავე კოლმეურნე ს. ოსაძეს, რომელმაც შარშან ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიიღო, უკვე შერჩეული აქვს სიმინდის კონდიციური თესლი.

დაწინაურებულნი

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). „სასოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების სახელოსნოში გაჩაღებულია შრომა. მექანიზატორებმა ვადამდე შეასრულეს ტრაქტორების რემონტის იანვრის დავალება. ამ დღეებში კაპიტალური რემონტიდან გამოვიდა დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის „ბელარუსის“ მარკის, ხოლო მიმდინარე რემონტიდან — ვარციხის მევეხეობის საბჭოთა მეურნეობის „ტ-38“ მარკის ტრაქტორი.

ბეჯითად შრომობენ და ტრაქტორებს მაღალხარისხოვნად უკეთებენ რემონტს გამოცდილი მექანიზატორები ი. თავხელიძე და ჯ. წითაძე.

ᲧᲐᲠᲐᲯᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ალაზნის ველზე ხიბის ბუდესავით მოჩანს თელავის რაიონის სოფელი ყარაჯალა. კოლმეურნეობის სახნავ-სავარგულები აქვე, ალაზნის პირას არის გადაჭიმული. სოფელში ბევრი მოწინავე კოლმეურნეა, რომლებსაც ყოველწლიურად მარცვლეულის მაღალი მოსავალი მოჰყავს.

მარშან ყარაჯლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 600 ჰექტარი ხორბლეული და 140 ჰექტარი სიმინდი ეთესა. ორივე კულტურის მოსავალმა გეგმით გათვალისწინებულს გადააჭარბა. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატებმა მარტო პრემიად 100 ტონაზე მეტი მარცვლეული მიიღეს.

მემინდვრეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც წლების მანძილზე ორუჯ სულთან ოღელი ხელმძღვანელობს, 60 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ტონისა 300 ტონა სიმინდი მიიღო.

მარცვლეულის მაღალი მოსავლის მოყვანის მთავარი წინაპირობა მექანიზაციის სრულად გამოყენებაა, გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალაიდინ ჭუსალიევმა და სოფლის ბოლოს მდებარე მანქანა-ტრაქტორთა პარკისაკენ გაგვიძღვა. ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთებაზე სამუშაოდ აქ დილაადრიან მოსულან მარჯვე ადამიანები. გამოცდილ მექანიზატორებს შაქრო ლომაშვილს, დავით ტეტიაშვილს ახალგაზდები იბან ყურბან ოღღი, მამედ ხალილოვი და მამედ მამედოვი გვერდში ამოსდგომოდნენ და კვადრატულ-ბუდმბრივად სათეს მანქანებს გულდასმით უკეთებდნენ რემონტს.

წელს ყარაჯლელები მარცვლეულ კულტურებს 800 ჰექტარზე დათესავენ, 45 ჰექტარზე გააშენებენ ვენახს. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ამზადებენ 13 ტრაქტორს, 9 სათესსა და სხვა დამხმარე ტექნიკას.

მანქანა-ტრაქტორების შეკეთების დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ძმები მანდარ, ელდარ და აგო ქოსაევები. მათ პირველ კვირაში ხარისხოვნად შეაკეთეს ერთი ტრაქტორი და სათესი.

ყარაჯლელები გაზაფხულს მომზადებული ხვდებიან.

Თ. ᲧᲣᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

სურათზე: კვადრატულ-ბუდმბრივი სათესი მანქანის შეკეთება. წინა პლანზე (მარცხნიდან) მანდარ ქოსაევი და მამედ ხალილოვი, რომლებიც დღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ავტორისა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ!

ბერლინი, 27 იანვარი. (საკდესი). მიტინგზე, რომელიც გუშინ ბერლინში გაიმართა, გერმანიის დემოკრატიული ტეტის ინიციატივით. მიტინგის მონაწილეებმა ამიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ განზრახავ, ორი ლი გაგზავნონ სამხრეთ ვიეტნამში, იმის ცდაა, რომ შეაყოვნონ ამერიკის აგრესიის გაკოტრება ინდოჩინეთში.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბონის მთავრობაც ყოველთვის სთავაზობს თავის სამსახურს იქ, სადაც საქმე ეხება რეაქციული და ფაშისტური დიქტატორების მხარდაჭერას, სხვა ხალხების დათრგუნვასა და აგრესიული ომების გაჩაღებას.

ᲒᲡᲣᲠᲗ ᲘᲧᲘᲓᲝᲗ ᲪᲐᲜᲯᲘ?

ნიუ-იორკი, 27 იანვარი. (საკდესის კორ.). თქვენ გეკითხებათ ხელის ტანჯვა? ან, იქნებ, გინდათ ნაღმსატყორცნი? იქნებ გსურთ შეიძინოთ სახლის დასაცავად ძველი ტანკი? ყოველივე ეს პრობლემა როდია შეერთებულ შტატებში. მეწარმესთან, რომელიც „ნამეტი“ სამხედრო იარაღით ვაჭრობს, შეგიძლიათ შეიძინოთ ერთიც, მეორეც, მესამეც, მხოლოდ დოლარი გქონდეთ საკმარისად.

ეი როგორ აღწერს ამას გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი სტატიაში „ნახეთ, რა ხდება იარაღის ვაჭრობის დარგში“.

ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნის დიქტატორს, რომლის ტანტი ირყევა, წერს იგი, სურს ჰქონდეს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ესკადრილია. „ფიზელ“ ამერიკელთა ბატალიონს კალიფორნიაში სურს შეიარაღოს ათასობით ანტიკომუნისტური პატრიოტი“. ტეხასის ნავთობის ბარონს უნდა შეიძინოს „ტომპსონის“ ფირმის 24 ტყვიამფრქვევი ნავთობის საბადოთა დასაცავად. ყოველივე ეს მათ შეუძლიათ მიიღონ. რა თქმა უნდა, განაგრძობს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი, საჭირო იქნება რაღაც მეცადინეობა, მაგრამ თუ სურვილი და ფული გაქვთ შეერთებულ შტატებში, შეგიძლიათ იყიდოთ საკმაო იარაღი, ვთქვათ, საშუალო მასშტაბის გადატრიალებისათვის სადმე ლათინურ ამერიკაში.

ეი ზოგიერთი საქონელი, რომელიც იყიდება: პისტოლეტები, ხელის გრანატები, კარაბინები „მ-1“, ნაღმსატყორცნები, ბაზუკები, ტყვიამფრქვევები „ტომპსონი“, ბომბადამშენი ავიაგამანადგურებლები „ტ-28“, საზღვაო ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ჯავშანმანქანები, ტანკები.

ვინ ვაჭრობს მთელი ამ მდიდარი ასორტიმენტის იარაღით ამერიკის შეერთებულ შტატებში? გაზეთი უპასუხოდ არ ტოვებს ამ კითხვასაც. სამხედრო „ნამეტი“ იარაღის ვაჭრობის დარგში, წერს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, ბიზნესს ეწევიან მსხვილი „სოლიდური“ ფირმები, როგორიც არის „ინტერარმკო“ ან „პოტომაკ არმსი“ და წვრილფეხა საქმოსნები, რომლებიც „მზად არიან მიაშურონ იქ, სადაც იქნება აფეთქების სიტუაცია და, მაშასადამე, შეიძლება ხელი მოითბონ“.

ᲜᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ... ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ბრიუსელი, 27 იანვარი. (საკდესი). ევროპის „საერთო ბაზრის“ ოფიციალურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მასში შემავალი ექვსი ქვეყანა ნივრის სულ უფრო დიდ სიყვარულს იჩენს. ნივრის წლიურმა წარმოებამ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში 110.000 ტონას მიაღწია.

ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრებმა, რომლებიც ბრიუსელში შეიკრიბნენ, დიდი ამბით გამოაცხადეს, რომ მიღწეულია შეთანხმება ნივრის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.

ამის გამო საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ედგარ პიზანიმ განაცხადა: „ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებაა, ვინაიდან საექსპორტო ნიორს ძირითადად აწარმოებენ ჩვენი ფინანსთა მინისტრის ჟისკარ დ' ესტენის საარჩევნო ოლქში“.

DESSAUER
ᲛᲐᲠᲒᲘᲡ

„პარტიინაია ჟიზნ“ № 2

პარტიული ცხოვრება

ყოველ კომუნისტს — პარტიული დავალება!

პასუხისმგებლობის აღზრდა

ქანტორაში ხმაური იდგა, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, მაგრამ როცა ტელეფონმა დარეკა, ყველანი გაჩუმდნენ.

— ამხანაგო, ლუკა, გთხოვთ! — თქვა მოინგარიშემ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლუკა კალაიჯევმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

პარტიის რაიკომიდან იტყობინებოდნენ: — ნოღაეთში მოულოდნელად აცივდა, ქარბუქი მძვინვარებს, ცხვარი საძოვარზე ვეღარ გადის, მოსალოდნელია ამინდის გაუარესება, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

თავმჯდომარე შეშფოთდა:

— გასაგებია, ყველაფერს გავაკეთებთ, ხვალვე გავგზავნი ხალხს, — ამბობდა ის და თვალით ვიღაცას ეძებდა.

ამხანაგები მიხვდნენ, რომ ასეთ წუთებში საჭირო იყო პარტიბიუროს მდივანი, რომელიც იმ დილით რომელიღაც ფერთოთხის გასაზომად წასულიყო. თავმჯდომარე სწორედ მას ეძებდა. ამტომაც სასწრაფოდ კაცი აფრინეს ლიზა ბადაგაძესთან. რამდენიმე წუთის შემდეგ კანტორაში შემოიჭრნენა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ქარისგან სახე ასწითლებოდა:

— რაშია საქმე? — იკითხა.

თავმჯდომარე რჩევას სთხოვდა, ვინ გაეგზავნათ კახპისპირეთში სტიქიასთან საბრძოლველად. ამ საქმისათვის ხომ საჭიროა ყველაზე გულადი და საქმის ერთგული ადამიანები, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვთ დავალება, სულერთია მცირე იქნება ის თუ დიდი.

გადაწყდა ნოღაეთში წასულიყვნენ ლუკა კალაიჯევი, ლევან გუშარაშვილი, ნიმონ ბეწუაშვილი. მათვე დაეკალათ ქმედითი დახმარება გაეწიათ მწყემსებისათვის, გადაერჩინათ ცხვარი.

მეორე დღეს ისინი უკვე მატარებელში ისხდნენ.

მაგონდება სხვა ამბებიც.

შარშან შემოდგომაზე ცუდი ამინდები დადგა. განსაკუთრებით გაუჭირდა ახალგაზრდა ბრიგადირს გაბრიელ ლომაშელს. ოცდათორმეტი ჰექტარი ხორბალი ასაღები რჩებოდა-ცხრაწყაროს მთაზე, სადაც არც ტრაქტორი უდგება და არც კომბაინი. საჭირო იყო მოსავლის ხელით აღება, ბრიგადას კი მუშახელი არ ჰყოფნიდა. გაბრიელმა დახმარებისათვის პარტბიუროს მდივანს მიმართა.

რა ექნათ, შემოდგომა იყო და სხვა ბრიგადებსაც საქმე ყელამდე ჰქონდათ. მერე ლიზა ბადაგაძეს გაახსენდა, რომ იმავე მთაში იმყოფებოდა კომუნისტი სანდრო ჭინჭარაშვილი, რომელიც სხვა მწყემსებთან ერთად ფერმის პირუტყვს უვლიდა. მხოლოდ მეცხოველეებს შეეძლოთ ხორბლის გადარჩენა. პარტბიუროს მდივანს არ დაუყოვნებია, იგი მთაში წავიდა და სანდრო ჭინჭარაშვილს მოეთათბირა. შესაძლოა სანდროს არ ესიამოვნა დამატებითი საქმე, მაგრამ ხმამაღალი არაფერი უთქვამს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა:

— მარტო მე რას გავხდები, ხალხია საჭირო.

— კომუნისტს წუწუნი არ შეშვენის, — თქვა ლიზამ, — ფერმის მუშაკები გაიყოლე და საქმე წინ წავა. იცოდე, ეს შენი პარტიული დავალებაა, რომელსაც არ ეღალატება.

სანდროს საქმისათვის არ უღალატნია. მალე ცხრაწყაროს ყანაში მკა გაჩაღდა. ბრიგადირი გაბრიელი და სანდრო მომკელებს წინ მიუძღოდნენ, უკან სხვები მიჰყვებოდნენ ყიჟინით, მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს, პარტიული დავალება პატიოსნად შეასრულეს.

ერთხელ პარტბიუროს მდივანს რაიკომის ბიუროზე უსაყვედურეს: რატომ ყველა კომუნისტს დავალებას არ აძლევო. ლიზა მაშინ შედარებით გამოუცდელი იყო და გულწრფელად სჯეროდა, რომ ორმოცდა სამი კომუნისტისათვის საჭირო დავალებას ვერ გამოძებნიდა. მით უმეტეს, რომ ყველას არ ჰქონდა მუშაობის გამოცდილება. ამასთან რა საჭიროა მისცეს კაცს დავალება, როცა არ იცი, შეასრულებს თუ არა მას. არა სჯობს დასაქმო ის, ვისაც ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც, ვინც აუცილებლად შეასრულებს დაკისრებულ საქმეს?!

გავიდა ხანი. პარტბიუროს მდივანი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ თუ გულისხმიერი ხარ, თუ იცი თვითეული კომუნისტის ავი და კარგი, იცი მათი გაჭირვება და დალხინება, თვითეულის უნარი და გამოცდილება, მაშინ არც ისე ძნელია შეარჩიო პარტიული დავალება, რომ რაც უფრო ფართოა პარტიული აქტივი, რაც უფრო მეტი ადამიანია ჩაბმული ყოველდღიურ საქმიანობაში, მით უფრო ძლიერია პარტიული ორგანიზაციის გავლენა ადამიანებზე, მათს წარმატებებზე, ყოფაცხოვრებაზე.

კარგად აქვთ მოწყობილი პარტიულ დავალებათა განაწილებისა და შესრულების საქმე ყინწვილის სმასი არაგველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ თითქმის ყველა კომუნისტს აქვს მისთვის შესაფერისი დავალება, რომელთა შესრულებით კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იწრთობიან პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში. ამასთან, პარტიულ ორგანიზაციას თავის მხრივ საშუალება აქვს პრაქტიკულ, ცოცხალ საქმეებში აღზარდოს ამხანაგები, წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე მდგომ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს.

პარტბიუროო განსაკუთრებით ზრუნავს ახალგაზრდა კომუნისტებზე. არა ერთი და ორი საუბარი ჰქონია ლიზა ბადაგაძეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან. კოლმეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე თავდადებით შრომობს ათობით მოწინავე ადამიანი. მათ შორის სახელი გაითქვა ახალგაზრდა ტრაქტორისტმა შოთა ზანდუკელმა. ერთხელ მდივანი გამგეობის თავჯდომარესთან ერთად მინდვრებში იყო. საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაძაბულ დღეებში ძვირფასი იყო თვითეული დღე, თვითეული საათი. შოთა ზანდუკელი დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. იმ დღესაც იგი დაუღალავად შრომობდა და ალბათ მაშინ, მინდორში ოფლიან ტრაქტორისტს რომ უცქერდნენ, გაიფიქრეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, რატომ უნდა ყოფილიყო ეს პატიოსანი და დაუღალავი კაცი პარტიის რიგებს გარეშე. და, როცა ტრაქტორი საწვავის მისაღებად გაჩერდა, ლიზამ პირლაპარ ჰკითხა შოთა ზანდუკელს.

— პარტიაში შესვლაზე ხომ არ გიფიქრია?

ტრაქტორისტმა დაირცხვინა, გაშავებული ხელები ჩვრით გაიწმინდა და ხმადაბლა თქვა:

— არა, არ მიფიქრია.

— იქნებ პასუხისმგებლობისა გეშინია? კომუნისტს, მართალია, უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე უპარტიოს, მაგრამ არა მგონია შენ მშიშარა იყო...

შოთა ზანდუკელი რაღაც კომისიაში ჩაიბეს, მერე სხვადასხვა დავალებები მისცეს და ნელნელა შეაჩვიეს საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გავიდა ხანი. ტრაქტორისტის გულში გაიღვიძა დიდმა სურვილმა — ღირსეულად ეტარებინა კომუნისტის მაღალი წოდება. ახლა იგი პარტიის წევრობის კანდიდატია და საკოლმეურნეო წარმოების ავანგარდში დგას.

ამ გზით მოვიდა პარტიის რიგებში კოლმეურნეობის ავტომძღოლი რევაზ ჩიხაშვილიც. ხანამ მას პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღებდნენ, სხვადასხვა დავალების შესრულებაში გამოსცადეს. მას ახლაც არ აკლია პარტიული დავალება, არის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი. რევაზმა თავი გამოიჩინა პატიოსანი შრომით. მოგეხსენებათ ავტომძღოლის შრომის თავისებურება. იგი ხან ალმაა და ხან დალმა. მიუხედავად ამისა, რევაზმა თავისუფალ დროს საკუთარი ხელით დაამუშავა კოლმეურნეობის ფართობი და ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით ას ოთხი ცენტნერი სიმინდი მიიღო. პარტიის რაიკომში არ დაიჯერეს — სად შოფერი და სად მესიმინდეო, მაგრამ სიმართლე ჭიუტი რამ არის.

პარტბიუროო მარტო დავალებებს კი არ ანაწილებს, არამედ აკონტროლებს კიდეც მათი შესრულების მიმდინარეობას. ამას წინათ პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებენ დავალებებს კომუნისტები მარტა ქავთარაძე, ვასილ ჩანადირი და სპირიდონ უნდილაშვილი. გამოირკვა, რომ პირველი ორი კეთილსინდისიერად ეკიდება საქმეს, ხოლო სპირიდონ უნდილაშვილი თავს იმართლებს: — რა ვქნა, სამსახურებრივ მოგალეობას ძლივს ვასრულებ და აგიტატორობისათვის დრო არა მრჩებაო.

გასაკვირველი არ არის, რომ იგი კრებიდან საგრძნობლად გაწითლებული გამოვიდა.

ასეა პარტიულ დავალებათა განაწილებისა და შესრულების საქმე ყინწვილის სამასი არაგველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. კარგი იყო, რომ ყველგან ასე ყოფილიყო, სამწუხაროდ, ასე როდია.

ბევრი კომუნისტი ჩაბმული არ არის საზოგადოებრივ მუშაობაში, ბევრ მათგანს არ ეძლევა პარტიული დავალებები. ანაურის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის წევრებს ლ. ბანცურს, ყ. მთიულიშვილს, პ. ცილიკიშვილს, ნ. ჭიკაიძეს არც ერთი დავალება არ მიუღიათ. მჭადიჯვრელი კომუნისტები ო. ღუდუშაური და ი. თიგიშვილი ცუდად ასრულებენ მიცემულ დავალებებს.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ პარტიული სამუშაო ცოტად თუ ბევრად თანაბრად განაწილდეს, რათა ერთნი არ იქნენ ძალზე დატვირთულნი, ხოლო სხვები კი განზე არ იდგნენ და ფაქტიურად არ მონაწილეობდნენ თავიანთი ორგანიზაციის მოღვაწეობაში.

ვესაუბრე დუშეთის სარაიონთაშორისო გაზეთის რედაქციის განყოფილების გამგეს ტ. თუჭიშვილს, რომელიც ძალზე გადატვირთულია სხვადასხვა დავალებებით. იგი არის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე, პარტიის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორი, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქციის განყოფილების გამგე, რაიისამომმარებლო კოოპერაციის გამგეობის წევრი, ეურნალ „საქართველოს აგიტატორის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, პარტიის რაიკომის ლექტორ-მომხსენებელი, სახალხო რაზმიელის შტაბის წევრი, მონადირეთა საზოგადოების ფაუნის დაცვის სექციის ბიუროს წევრი...

„შეუცვლელი ამხანაგების“ რიცხვი მარტო ერთი კაცით არ ამოიწურება. ისინი ათობით არიან, ეს მაშინ, როცა ზოგ კომუნისტს ერთი დავალებაც არა აქვს. განსაკუთრებით უნდა ვზრუნავდეთ პარტიული ორგანიზაციების მდივნებზე. როგორც ცნობილია, ისინი განთავისუფლებული არ არიან ძირითადი სამუშაოსაგან, მათი უპირველესი მოვალეობაა სანიმუშოდ ასრულებდნენ სამსახურებრივ საქმეს. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მათი როგორც პარტიული ხელმძღვანელების ავტორიტეტი.

საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობის ურთიერთშეხამება ადვილი საქმე რომდა. ამისათვის საჭიროა პარტიულმა კომიტეტმა პარტორგანიზაციათა მდივნებს ხელი შეუწყოს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნაში, არ გადატვირთოს ისინი ზედმეტი დავალებებით.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ს. ჟინვალი, დუშეთის რაიონი.

„კომუნისტის“ გამოსვლის შემდეგ

ჩამორჩენა შარშან, წელს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველო

ჩვენი გაზეთის 23 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ჩამორჩენა შარშან, წელს“, რომელშიც მხილებული იყო თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მეორე წელია ქარხანამ ჩამორჩენას ვერ დაადწია თავი, არ ახორციელდება საგეგმო დავალებანი, არ ზრუნავენ კადრების მოსამზადებლად. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, რომელიც სხმულებით ამარაგებს სახეხი ჩარხების ქარხანას, არ ასრულებს საგეგმო დავალებას. მარტო შარშან თერმეტ თვეში მან საწარმოს არ გაუგზავნა გეგმით გათვალისწინებული 205 ტონა სხმული. ხშირია უხარისხო სხმულების მიწოდების შემთხვევებიც. ყოველივე ეს გავლენას ახდენს სახეხი ჩარხების ქარხნის მუშაობაზე.

წერილი შესასწავლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს, საიდანაც გვატყობინებენ, რომ „წერილში მთელი სისწორით არის აღნიშნული თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში არსებული მდგომარეობა და გამახვილებულია ყურადღება ძირითად ნაკლოვან მხარეებზე.

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი იყო ახალი მოდელის ჩარხების გამოშვებისათვის მომზადების ჩაშლა. როცა 1964 წლის პირველ ნახევარში წარმოებიდან მოიხსნა მოძველებული მოდელის „ბა-110 მ“ ჩარხი, ახალი ჩარხების გამოშვება შეფერხდა. ამ საკითხზე სამმართველომ იმსჯელა და დასახა სათანადო ღონისძიება. ძირითადი ყურადღება მიექცა „ბა-110“ მოდელის სახეხი ჩარხის დამზადების პროგრესული ტექნოლოგიის შექმნას და საჭირო სამარჯვების დაპროექტებას და დამზადებას, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სიზუსტის დაცვას. ამ საქმეში ქარხანას დახმარებას უწევს რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სახეხი ჩარხების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს უახლოეს ხანში დაამთავრებენ. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები. ჩამოყალიბებულია მზომი ლაბორატორია, სადაც ასპროცენტიან კონტროლს გადის ყველა საკვანძო დეტალი.

როგორც წერილშია აღნიშნული, ქარხნის მიერ გეგმის შესრულებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და რიტმულობის დანერგვაში საკმაო მნიშვნელობა ენიჭება ქარხნის მომარაგებას სხმულებით. ამ საკითხის მოსაგვარებლად სამმართველომ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად შეიმუშავა მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებანი. გადასინჯულ იქნა ყველა საკვანძო დეტალის სხმულების ტექნოლოგია, დამზადდა ახალი მოდელები, დაყალიბება ახლა წარმოებს მანქანებზე, ხდება ძირითადი სხმულების თერმული დამუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ სხმულების ხარისხი და მათი წარმოების მოცულობა.

რადგან სახეხი ჩარხი „ბა-110“ ზუსტი ჩარხების რიცხვს ეკუთვნის, სიზუსტის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვანძო სხმულების ხელოვნურად მობერებას, რისთვისაც საჭიროა ამ სხმულების 4-6 თვის მარაგის შექმნა. დეკემბერში წარმოებამ სახეხი ჩარხების ქარხანა უზრუნველყო სხმულების ერთი თვის მარაგით, რაც უკანასკნელი წლების გამოცდილებაში არ ყოფილა.

მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველო, ნათქვამია რედაქციისათვის გამოგზავნილი პასუხის დასასრულს, განახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, ქარხნის ხელმძღვანელობას აღმოუჩენს დახმარებას საკვანძო საკითხების გადაჭრაში, რათა ქარხანამ შეძლოს 1965 წლის საგეგმო დავალება დროულად და მაღალი ხარისხით შეასრულოს.

„პარტიინაია ჟიზნ“ № 2



ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

2

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ იანვრის მეორე ნომერი. იგი იწყება მოწონებული სტატიით „ხელმძღვანელის დიდი პასუხისმგებლობა“. საოლქო და სამხარეო პარტიული კონფერენციების შედეგებს მიეძღვნა მიმოხილვა „ერთიანობა, აქტიურობა, საქმიანობა“. ყოველდღიური ცხოვრების თემებზე იბეჭდება სარედაქციო სტატიები „კოლმეურნეობის ინტერესები შევუსამთოთ სახელმწიფოს ინტერესებს“ და „კომკავშირული კონფერენციები“.

განყოფილებაში „მეურნეობის ხელმძღვანელობა“ გამოქვეყნებულია ბ. მახინინის სტატია „დავას ჭრის პრაქტიკა“ — ვინიციის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის აღმავლობის გზების ძიების შესახებ, ნ. ფომინიჩევის სტატია „პარტორგანიზაცია და ეკონომიური ექსპერიმენტი“.

ეურნალის ფურცლებზე კვლავ გრძელდება განხილვა „როგორი უნდა იყოს პარტიული კრება“; ამ საკითხზე ეურნალში სტატიებს აქვეყნებენ ქარხანა „კომკავშირელისა“ და ტამბოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კუზმინსკის“ პარტიული კომიტეტების მდივნები ვ. მამონტოვი და ვ. მაკეევი, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებათა პარტორგანიზაციის მდივანი გ. დობორჯგინიძე, კომუნისტები მ. ნიკიშინი (სურხან-დარიის ოლქის ქალაქი დენაუ) და ო. ბეკუზაროვი (კემეროვოს ოლქის დაბა მოზეული).

პროპაგანდისტისა და მსმენელის დასახმარებლად დაბეჭდილია ნ. ლომაკინის სტატია „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ და მისი განვითარება სკკპ პროგრამაში“. რუბრიკით „პირველადი პარტორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა“ იბეჭდება პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მეექვსე დამხმარე კონსულტაცია — სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობა „პრავდის“ პარტიული კომიტეტის მდივნის ი. ვიეტოლენენკოს სტატია „ჩვენს კულტურის სახლში“ და ა. ჩუბრინის კორესპონდენცია „სწავლა ოკეანეში“.

განყოფილებაში „კომუნისტური და მუშათა პარტიების ცხოვრებიდან“ დაბეჭდილია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მორავიის ქიმიური ქარხნის კომიტეტის მდივნის ვიტეზსლავ შმიდის სტატია „საარსებო ამოცანა“.

ეურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე მკითხველთა წერილები, მიწერ-მოწერა შეითხველებთან, არკ. ვასილიევის ნარკვევი „ამხანაგი არსენი“ — მ. ვ. ფრუნზეს დაბადების 80 წლისთავი, პრესის მიმოხილვა „უფრო ღრმად გავაშუქოთ პოლიტიკური განათლების საკითხები“, პარტიული ქრონიკა და სხვა მასალები.

მსოფლიო ამ დღეებში

მარდაიცვალა ირანის პრემიერ-მინისტრი

თეირანი, 27 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს თეირანში გარდაიცვალა ირანის პრემიერ-მინისტრი ჰასან ალი მანსური, რომელსაც თავს დაეხვნენ წასულ კვირაში. მანსური 41 წლისა იყო.

ირანის ახალი პრემიერ-მინისტრი

პარიზი, 27 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ნაცვლად გუშინ გარდაცვლილი ჰასან ალი მანსურისა ირანის ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნულია ყოფილი ფინანსთა მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა.

საგანგებო კანონი

პარიზი, 27 იანვარი. (საკდესი). გუშინ გამოქვეყნდა საგანგებო კანონი სირიის დედაქალაქ დამასკოს 68 მაღაზიის კონფისკაციის შესახებ. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

კანონი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო კისრულობს ამ მაღაზიების მართვას და იქ დასაქმებულ მუშამოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე აღინიშნება ქალაქ ლიპეცკის დაარსებისა და ლიპეცკის ტრადიციული ბაზრობის რვაასი წლისთავი. სურათზე: სბაზრო მოედნის ნაწილი. (ასი).

დამთავრდა საერთო პოლიტიკური დისკუსია

ნიუ-იორკი, 27 იანვარი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის სესიაზე დამთავრდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

საკადრისი პასუხი გასცა რა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატს, რომელმაც მალის დელეგაციას ბრალად დასდო, რომ სამხრეთ ვიეტნამში მდგომარეობის შეფასებისას იგი თითქოს კომუნისტური პოზიციებიდან გამოდიოდეს, მალის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩემი ქვეყნის მიუმხრობლობის პოლიტიკას არ ესაჭიროება შეერთებული შტატების დასტურიო. ჩვენი მიუმხრობლობის პოლიტიკა, თქვა მალის დელეგატმა, არ მოასწავებს იმპერიალიზმისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებას.

ავღანეთის დელეგატმა პეკეკამა დაასაბუთა აფრიკა-აზიის ქვეყნების ჯგუფის წინადადებანი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ცნობილია როგორც „პეკეკის გეგმა“.

ამერიკის დელეგაციამ თავისი გამოსვლა გადადო საერთო პოლიტიკური დისკუსიის უკანასკნელ დღემდე. ამასთან დაკავშირებით ფიქრობდნენ, რომ შეერთებულ შტატებს ან საერთოდ არაფერი აქვთ სათქმელი გენერალურ ასამბლეაში, ან ამჯობინებენ დუმილით აუარონ გვერდი ყველაზე მწვავე საგარეპოლიტიკურ პრობლემებს. ამერიკის წარმომადგენლის ედლაი სტივენსონის დაგვიანებულმა და უშნაარსო სიტყვამ იმედი გაუცრუა XIX სესიის დელეგატებს.

ჯონსონის მოხსენეგა

ვაშინგტონი, 27 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა მოხსენება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს 1964 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის შესახებ. მოხსენებაში დასახელებულია ძირითადი პროგრამები, რომლებიც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ განახორციელა ამ პერიოდში. მათ შორის არის: კოსმოსური სივრცის კვლევა ხელოვნური თანამგზავრების დახმარებით, ხელოვნური თანამგზავრების გამოყენება კავშირის საშუალებებად, კოსმოსური ხომალდებისა და მათი მართვის სისტემების შექმნა.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა იყო კავშირის პასიური ასარეკლი თანამგზავრის „ექო-2“ გაშვება, რაც 1964 წლის 25 იანვარს განხორციელდა.

ბინისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 27 იანვარი. (საკდესი). კანტოს რაიონსა და ტიუბუს რაიონის ნაწილში დღეს დილით ძლიერი მიწისძვრა მოხდა. იაპონური შვიდბალიანი სისტემით მისმა ძალამ მიაღწია: ტოკიოში, იოკოგამაში, მიტოსა და კუმაგაიაში — 3 ბალს, მაებასიში, კოფუში, მისიმასა და სხვა ქალაქებში — 2 ბალს. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა მდინარე ტონეს აუზის შუა ნაწილში, 80 კილომეტრის სიღრმეზე.

სტუმრად მაღლიში

ბამაკო, 27 იანვარი. (საკდესი). მალის რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ალჟირის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე სუიად ჰუარი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, რომელიც აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში მოგზაურობს, აფრიკის ქვეყნების მშვიდობის ეროვნულ კომიტეტებთან ერთად განიხილავს საკითხს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მხარი დაუჭიროს კონგოელ ხალხს, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, აგრეთვე განიხილავს მსოფლიო კონგრესისათვის მზადების საკითხს, რომელიც ჰელსინკში გაიმართება მომდინარე წლის ივლისში.

ავდუღგანის განცხადება

ჯაკარტა, 26 იანვარი. (საკდესი). „თუ ავსტრალიას სურს გააუმჯობესოს ინდონეზიასთან ურთიერთობა, მან უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები მალაიზიის ტერიტორიიდან და პირველ რიგში ჩრდილოეთ ბორნეოდან (ჩრდილოეთი კალიმანტანი)“, — განაცხადა ხალხთან ურთიერთობის კოორდინაციის მინისტრმა რუსლან ადდულგანიმ ავსტრალიელ სტუდენტთა იმ ჯგუფთან საუბარში, რომელიც ინდონეზიაში მოგზაურობს.

ადდულგანიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავსტრალიის ჯარების გაყვანა „პირველი ნაბიჯი იქნება იმ ზიანის ლიკვიდაციის გზაზე, რომელიც ინდონეზია-ავსტრალიის ურთიერთობას მიაყენა ავსტრალიის მთავრობის მიერ მალაიზიისათვის მხარდაჭერამ“.

ყოველი მხრიდან

ბოლოდროინდელი ამბები

ბოლოდროინდელი ამბები

ბოლოდროინდელი ამბები

ბ-ნ ლენგის ექსკურსები

საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში

საქართველოს ისტორია დიდი ხანია იზიდავს ინგლისელ მეცნიერს **დევიდ მარშალ ლენგს.** 50-იან წლებში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი გამოკვლევები ამ ქვეყნის ძველი და შუა საუკუნეთა ეპოქების პრობლემებზე. ეს გამოკვლევები დამთავრდა მონოგრაფიით „**საქართველოს მონარქიის უანასკნელი წლები**".[1] ახლა ლენგს გადაუწყვეტია უამბოს მკითხველებს, თუ რა მოუვიდა საქართველოს მას შემდეგ, რაც ქართველთების სამეფო 1801 წელს რუსეთს შეუერთდა. ლენგის უკანასკნელი წიგნი „საქართველოს ახალი ისტორია" წარმოადგენს, მისივე საკუთარი დახასიათებით, ნარკვევებს, რომლებშიც „თვალი აქვს გადევნებული საქართველოსა და კავკასიაში თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრებასა და დაცემას და ნაჩვენებია, როგორ გამოიწვია ამან საქართველოს შეუვანა საბჭოთა ერების ოჯახში"[2].

მეცნიერის ის სურვილი, რომ იმ ქვეყნის ისტორიის გამოკვლევა, რომელსაც იგი შეისწავლის, თანამედროვეობამდე მოიყვანოს, რასაკვირველია, საგსებით გასაგებია. მაგრამ ვნახოთ, რა აინტერესებს ლენგს პირველი რიგში, სახელდობრ რა საკითხებმა უკარნახა მკვლევარს, რომელიც დღემდე არ გასულებია ფეოდალური ეპოქის საზღვრებს, შეჭრილიყო საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რამდენადმე შეიძლება, ლენგის წიგნის შინაარსში რომ ჩავიხედავთ. წიგნის პირველი თავი შეიცავს გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიული ხასიათის ზოგად ცნობებს საქართველოზე. მეორე წარმოადგენს მოკლე ისტორიულ ნარკვევს, რომელსაც მკითხველი მიჰყავს იმ მომენტამდე, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა. ოთხი მომდევნო თავი მიძღვნილია საქართველოს გახული საუკუნის ისტორიისადმი, მეშვიდეს ეწოდება „საქართველო 1905 წ. რევოლუციაში", მერვე თავი მოიცავს პერიოდს 1906-დან 1917 წლამდე, ამათ კი მოპყავება ორი თავი საქართველოში 1920 წლამდე მომხდარ მოვლენებზე. შეიბეჭდილება იქმნება, რომ ავტორისულ უფრო ახლებს თხრობის ტემპს, რაც უფრო უახლოვდება თანამედროვეობას. მაგრამ შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ წიგნში დარჩენილია მხოლოდ სამი თავი! ხოლო სოციალისტური საქართველოს ისტორიაზე კიდევ უფრო ნაკლები მოდის, ვინაიდან მეტი ნაწილი მეთერთმეტე თავისა, რომელიც 1920-1924 წლებს მოიცავს, აგვიწერს მოვლენათა მსვლელობას საქართველოში 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს უახლეს ისტორიაზე ავტორს მინიმალური ყურადღება დაუთმია სოციალიზმის აშენებისათვის, მაქსიმალური — სამოქალაქო ომის წლებში მენშევიკების ხანმოკლე ბატონობისათვის.

მთლიანად ლენგის წიგნის დამახასიათებელი შინაარსი ის, რომ ავტორი უპირატესად განიხილავს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას და თითქმის არ იჩენს ინტერესს სოციალურ-ეკონომიური განვითარებისადმი. ეს ცალმხრივობა თვალში გეცემათ მაშინაც, როცა პირველ თავებს კითხულობთ.

მაგალითად, იმ მიზეზებს, რომლებიც ბოკავდა მრეწველობის ჩახახვას და ვაჭრობის განვითარებას ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის ბოლოს, ლენგი განსაზღვრავს უმთავრესად დაღესტნელთა დაუსრულებელი თარეშით, შინაომებით, სავაჭრო ქარავნებზე განუწყვეტელი თავდასხმებით, ამასთან დასძენს, რომ „ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე მტრობა შეძლებულ სომეხთა კლასსა და მფლანგველ ქართველ თავადაზნაურთას შორის. ადგილი ჰქონდა ეს-ოდენ საჭირო კაპიტალის მუდმივ გატანას საქართველოდან, რამდენადაც ყველაზე შეძლებული სომეხი ვაჭრები თბილისიდან და გორიდან მოსკოვსა და ასტრახანში მიდიოდნენ" (გვ. 36).

ეს გარემოებანი, უდავოა, უარყოფით გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებაზე. მაგრამ ისინი რიდი წარმოადგენდნენ საქართველოში სამეურნეო მოდუნების მთავარ მიზეზს. ცნობილია, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გამანადგურებელი ომების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ XVIII საუკ. მეორე ნახევარში როგორც იქნა გამეფდა მშვიდობა, რაც ხელს უწყობდა ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მრეწველობის რამდენადმე მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა XIX საუკუნის პირველ მესამედშიც კი, როცა იმის შედეგად, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა, თითქოს შეიქმნა უფრო ხელსაყრელი ვითარება საზოგადოებრივი წარმოებისა და გაცვლის განვითარებისათვის. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ უწინარეს ყოვლისა საქართველოს საშინაო ცხოვრებაში. საქართველოს მძიმე ტვირთად აწვა ბატონყმური წესები, შემდეგში კი ამის ნაშთები, რომლებიც აფერხებდნენ საწარმოო ძალების განვითარებას.

მაგრამ სწორედ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემებს ლენგი უკან აყენებს ან უკიდურესად გაუბრალოებულად განმარტავს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იგი საქართველოში ხედავს მხოლოდ ეროვნულ ბრძოლას საქართველოს მონარქიის აღდგენისათვის და დუმილით უვლის გვერდს ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობას. საქართველოს რეაქციული თავადაზნაურობა მართლაც ცდილობდა, განსაკუთრებით XIX საუკ. პირველ მესამედში, ნაციონალისტური ელფერი მიეცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის, მართლაც ისახავდა რეაქციულ, რესტავრატორულ მიზნებს. მაგრამ გლეხობა გამოდიოდა არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ; ერთგვარი საზოგადოებრივი გარდაქმნის საჭიროება თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილსაც ესმოდა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეჭერდებით იმერეთის 1819-1820 წ.წ. აჯანყებაზე. ლენგი მას „იმერეთის მონარქიული დინასტიის აღდგენის ცდას" უწოდებს (გვ. 58). მაგრამ სწორედ ამ აჯანყებამ მკაფიოდ დაგვანახვა, რომ საქართველოში ღრმა ანტიფეოდალური პროტესტი მწიფდებოდა. თუმცა აჯანყებამ ყველა წოდება (გლეხები, აზნაურები, ინტელიგენცია და სამღვდელოება) გააერთიანა, მაგრამ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები მასში სხვადასხვა მიზნებს ისახავდნენ. აჯანყებას საფუძველად ედო არა იმდენად იმისადმი მისწრაფება, რომ მონარქიული დინასტია აღედგინათ, რამდენადაც სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მიზეზები, და ამას, როგორც დოკუმენტები მოწმობს, კარგად ამჩნევდნენ მეფის მსახური ჯალათებიც კი, რომლებიც იმერეთში გაგზავნილი იყვნენ აჯანყებულთა დასაწყნარებლად. მაგალითად, გენერალი სისოევი აჯანყების მიზეზებზე წერდა: საეკლესიო „რეფორმით დაკისრებული იყო ფულადი პასუხისმგებლობა, რომელიც აღემატებოდა მცხოვრებლების მიერ გადახდის შესაძლებლობის ზომას, სახელდობრ ხუთიდან ოცდახუთ მანეთამდე ვერცხლით, მაგრამ მარტო ეს როდი იყო აღშფოთების მიზეზი, არამედ იმერლებს უნდოდათ ესარგებლათ ამ შემთხვევით და აერჩიათ თავისთვის მეფე... განდგებანთ იმერეთის ფარგლებიდან ჩვენი ჯარები და რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისაგან დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ. მაგრამ ეს ბოროტება უკანასკნელი როდია, ვინაიდან ზოგს სურდა ამბოხების შემთხვევით ესარგებლა და განთავისუფლებულიყო ბეგრისაგან თავისი მემამულეების მიმართ, ეს უკანასკნელნი კი ცდილობდნენ ჩამოერთმიათ მათთვის მამული, და ამრიგად თვითთულ წოდებას თავისი განზრახვა ჰქონდა..."[3].

არასწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან აფასებს ლენგი 1830-1832 წ.წ. შეთქმულებასაც. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ შეთქმულების ჩაშლამ არსებითად ბოლო მოუღო თავადაზნაურულ-რესტავრატორულ მოძრაობას. თავადაზნაურობა თანდათან ეთხოვებოდა მონარქიის რესტავრაციის იმედს და იწყებდა „თავისი ინტერესების სულ უფრო და უფრო გიგიჟებას რუსეთის თვითმპყრობელობის ინტერესებთან" (გვ. 69). მაგრამ როცა ინგლისელი ისტორიკოსი აცხადებს, რომ შეთქმულების მონაწილენი „იყვნენ არა ლიბერალური რეპუბლიკელები, არამედ უფრო მონარქისტები და ნაციონალისტები" (გვ. 68), იგი აშკარად ამახინჯებს მოძრაობის სოციალურ ბუნებას. როგორც იმერეთის აჯანყებამ, ამ შეთქმულებამაც სხვადასხვა რწმენის ადამიანები გააერთიანა. გარდა ბეგრი კონსერვატორისა, რომელთა იდეური ხელმძღვანელები პეტერბურგში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები იყვნენ, მასში პროგრესული ფრთაც არსებობდა. ამ ფრთის ზოგ წარმომადგენელს ი. აფხაზის, ა. ჭავჭავაძის მეთაურობით მიაჩნდა, რომ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ნაადრევი იყო. მათი აზრით, საჭირო იყო დიდი ვადა იმისათვის, რომ საქართველო მომზადებულიყო დამოუკიდებლობის აღსადგენად, საჭირო იყო მოსამზადებელი, გარდამავალი საფეხური ავტონომიის სახით. პროგრესული ჯგუფის მეორე ნაწილის აზრით, რომელსაც ს. დოდაშვილი და გ. ორბელიანი ხელმძღვანელობდნენ, უკვე არსებობდა ხელსაყრელი ვითარება დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ისღა დარჩენილიყო, რომ გაეჩაღებინათ გადამწყვეტი ბრძოლა განთავისუფლებისათვის. მაგრამ არც პირველნი და არც მეორენი არ უჭერდნენ მხარს ძველი თავადური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების აღორძინების იდეას. ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ საქართველოში შექმნილიყო რესპუბლიკის რაღაც მსგავსება ან კონსტატუციური მონარქია. ბ-ნ ლენგს ყოველივე ეს შეიძლებოდა არ სცოდნოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიცალა განცნობოდა ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების მრავალ გამოკვლევას, თუ აღარას ვიტყვით განმაზოგადებელ შრომაზე — „საქართველოს ისტორიაზე",[4] მაგრამ ასეთი ვარაუდი ნაკლებწარმოსადგენად მიგვაჩნია, ვინაიდან, როგორც ლენგის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გარჩევისას დავინახავთ, მას საკმაო ყურადღებით უკითხავს საბჭოთა ისტორიული ლიტერატურა.

თუ მთლიანად შევაფასებთ ავტორის მიერ საქართველოს ფეოდალური ისტორიის პრობლემების გაშუქებას, შეიძლება ითქვას, რომ მცდარ დებულებებთან ერთად, რომლებიც განპირობებულია ცალმხრივი მიდგომით და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა უგულებელყოფით, ლენგის წიგნში არის საკმაოდ ბევრი ფურცელი, რომლებიც შეიცავს სარწმუნო, თუმცაღა მეტად გაკვრითს ცნობებს საქართველოს ისტორიაზე.

მაგრამ საქმე თანდათან იცვლება, როცა ლენგთან ერთად ვტოვებთ ფეოდალური ეპოქის ფარგლებს და შევდივართ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში — რაც უფრო უახლოვდება ახალ დროს, მით უფრო წინაზრახული ხდება მისი გამოკვლევა.

აქ, ისევე როგორც წინათ, ლენგი ერიდება მოყვანათა სოციალურ-ეკონომიური ანალიზს. ჩვენ ვპოულობთ მხოლოდ ცალკეულ შენიშვნებს საქართველოს მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ზრდის შესახებ. მაგალითად, 105-ე გვერდზე იგი საერთოდ სწორად ამტკიცებს, რომ „XIX საუკუნე საქართველოში მცირე სამრეწველო რევოლუციის საუკუნე იყო". მაგრამ ეს დებულება გაუხსნელი რჩება. მკითხველისათვის ცნობილი არ ხდება, რა ობიექტურ პირობებში მიმდინარეობდა ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და მწიფდებოდა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მატერიალური წინაპირობები.

წიგნში საკმაოდ ბევრი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სამოციანელთა, ეკრეთწოდებულ „თერგდალეულთა"[5] საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პოლიტიკურ შეხედულებებს. ამ მოძრაობას რომ ახასიათებს, ინგლისელი მეცნიერი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება. ჯერ იგი წერს: „ქართველმა გლეხმა მგზნებარე დამცველები ჰპოვა ინტელიგენციის უმცროს თაობაში. რომლის წარმომადგენელთაგან ბევრნი უდიდეს არისტოკრატიულ ოჯახებს ეკუთვნოდნენ. ისეთი რადიკალების ნაწარმოებებთან გაცნობამ, როგორიც იყვნენ ბელინსკი, ჭერცენი, აგრეთვე უშიშარი პროგრესისტების ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის პირადმა გაცნობამ მალე წარმოშვა ამ ქართველ სტუდენტთა გონებაში უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება მეფის თვითმპყრობელობისადმი, ბატონყმობისადმი, პატრიარქალური ყოფის ნიშნებისადმი..." (გვ. 110). აქ ლენგი ძირითადად სწორად იმეორებს იმ ახალ შეხედულებას „თერგდალეულებზე", რაც შედარებით ცოტა ხნის წინათ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.[6] უკანასკნელ გამოკვლევებში, განსაკუთრებით პ. რატიანის შრომებში, სამართლიანად არის მითითებული, რომ „თერგდალეულები" და მათი იდეური ბელადი ი. ჭავჭავაძე ხალხის ჩაგრული ნაწილის, ე. ი. გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველნი იყვნენ და არა ბურჟუა-მემამულეებისა, როგორც ეს წინათ იყო მიჩნეული. მაგრამ ლენგი იქვე ფაქტიურად ხელს იღებს თავის სწორ მსჯელობაზე, აცხადებს, რომ ჭავჭავაძის იდეოლოგია „სამართლიანად შეიძლება დავახასიათოთ როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური". 121-ე გვერდზე იგი ჭავჭავაძეს აცხადებს მოღვაწედ, რომელიც „სათავეში ედგა ლიბერალურ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას".

ასეთი მობრუნება ასოთხმოცი გრადუსით ლენგის ლოგიკაში არა გვგონია ახსნილებოდეს მისი როგორც მკვლევარის ინდივიდუალური თვისებებით. ბურჟუაზიული ისტორიკოსები უკვე დიდი ხანია ამაოდ ცდილობენ რუსულ ლიბერალურ ტრადიციას მიაკუთვნონ ისეთი მოაზროვნენი და საზოგადო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ რადიშჩევი, ჭერცენი და ჩერნიშევსკიც კი.[7] აღნიშნული პერიოდის საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში სწორედ ანალოგიური „ლიბერალური ტრადიციების" ძებნამ წარმოშვა ზემოთ მოყვანილი დასახასიათება, რომელსაც ლენგი აძლევს ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს. საბჭოთა ისტორიოლმა მეცნიერებამ კი ახალი საარქივო მასალების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე აღადგინა ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის სურათი. უგულებელყოფს რა მთელ მონაცემებს, რაც საბჭოთა მეცნიერებამ დაგროვა ამის შესახებ, რომ საქართველოში 60-იან წლებში გაჩაღებული მოძრაობა საერთო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი განშტოება იყო, ხოლო გამოჩენილი ქართველი სამოციანელები ი. ჭავჭავაძე, ს. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. რევოლუციური დემოკრატები, ბელინსკის, ჭერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ერთგული მოწაფენი და მამდიგარნი იყვნენ, ლენგი ამჯობინებს დაუბრუნდეს ვერსიებს, რომლებიც დიდი ხანია უარყო მეცნიერებამ. მისი მსჯელობა წარმოადგენს ჯორჯაძის ტიპის ქართველ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ფრიად ძველი კონცეპციების გამოხმაურებას. იყო დრო, როცა ბევრი ქართველი ავტორი თავისი მეთოდოლოგიის შესაბამისად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკ. საქართველოში განიხილავდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც ბურჟუაზიის ეროვნულ მოძრაობას და სრულებით ვერ ამჩნევდა მთავარს — მის რევოლუციურ-დემოკრატიულ შინაარსს. ისინი ვერ ხედავდნენ განსხვავებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს შორის და ლენგამდე ბევრად ადრე აცხადებდნენ ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელსა და მათს თანამებრძოლებს ნაციონალისტებად და შოვინისტებად.

ახასიათებს რა საქართველოში 1905 წ. რევოლუციის წინახანებს, ლენგი აღნიშნავს, რომ „კლასობრივი ბრძოლის იდეებს", ე. ი. მარქსისტულ-ლენინურ იდეებს, აქ „დიდი მიმზიდველი ძალა" ჰქონდა. ბურჟუაზიული ისტორიკოსის მხრივ ეს მცირე მნიშვნელობის აღიარება როდია. მაგრამ 131-ე გვერდზე ავტორი იძლევა ისეთ „განმარტებებს", რომლებიც აჭარწყლებს მის საკუთარ თის ნაგაზმა ქართული კუდი მოიგლიჯა და სიცარიელეში ჭეკეანეა ოყო, სადაც ბურჟუაზიულ წყობილებას სრულებითაც არ ამოუწურავს თავისი თავი.[12] ახეთი თეორია თავისი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლად რომ გაიხადა, მენშევიკური მთავრობა ეროვნული ბურჟუაზიის მფარველიდან ხმ ბსახურად გადაიქცა.

მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა მარცხით დამთავრდა. ხდებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დეგრადაცია.[13] საქართველოში დიდი შიმშილობა იყო. ის კანონებიც კი, რომლებიც ასე მოსწონს ლენგს, ქაღალდზე დარჩა, და მათ არავინ არ ასრულებდა. მრავალი საარქივო დოკუმენტი მოწმობს, რომ ეს საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო.

საქართველოს მშრომელებს არავითარი საფუძველი არა ჰქონდათ მენშევიკური მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ქმაყოფილი ყოფილიყვნენ, მაგრამ ლენგს მაინც მიაჩნია, რომ სწორედ ამ პოლიტიკამ მოუპოვა პოპულარობა მენშევიკებს ხალხში, რომელმაც „ხალისით" მისცა მათ თავისი ხმები დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1919 წლის თებერვალში (გვ. 210-211). ლენგს ანარეკლ მენშევიკების წარმატება — 130 ადგილიდან მათ 109 ადგილი მიიღეს, მაგრამ იგი რამდენადმე შეცბუნებულია არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის დაბალი პროცენტით — 60(!), და ამ ფაქტს ხსნის... დიდი თოვლით, რომელიც იმ დღეებში საქართველოში მოვიდა და ხელი შეუშალა მოსახლეობას ესარგებლა ხმის უფლებით.

რადგან ინგლისელი ისტორიკოსი არ მიუთითებს თავისი ინფორმაციის წყაროებზე, ჩვენ ძალაუნებურად გვიხდება არაკეთილსინდისიერად ჩავთვალოთ თვითონ იგი. ოფიციალური მონაცემებით 1919 წლის არჩევნებში ხმის უფლებით ისარგებლა ამომრჩეველთა დაახლოებით ნახევარმა. იმათი რიცხვი, ვინც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, უველაზე ნაკლები იყო ქალაქებში, სადაც თოვლს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების მიმდინარეობაზე. მაგალითად, სამი დღის განმავლობაში თბილისში 71 ათასი ამომრჩეველიდან ხმა მისცა 37 ათასმა, ქუთაისში 24 ათასიდან 12 ათასმა.[14] არჩევნებში მოსახლეობის ასეთი სუსტი მონაწილეობის ნამდვილ მიზეზზე თუ ვილაპარაკებთ, ეს იყო მენშევიკების გავლენა. საქართველოში მენშევიკური პარტიის ძალაზე მეტყველებს თუნცაღ ის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მენშევიკებმა მას თანამშრომლობა შესთავაზეს. მოლშევიკებმა უარეყვეს ეს წინადადება და მოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ისინი არჩევნების საწინააღმდეგო კამპანიას ეწეოდნენ უველა ქალაქსა და სოფელში, ამბილებდნენ მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას. ქართველ მშრომელთა მიერ არჩევნების უგულებელყოფა მათი არსებითი გამარჯვება იყო, რაც მიღწეულ იქნა ხელისუფლათა პროვოკაციებისა და კონტრრევოლუციური პარტიების დემაგოგიური პროპაგანდის მიუხედავად. მაგრამ ამის შესახებ ბ-ნ ლენგის წიგნში ერთ სიტყვასაც ვერ ნახავთ.

ინგლისელი ისტორიკოსი განსაკუთრებით ტენდენციურია იმ პოლიტიკის აღწერაში, რომელსაც საქართველოში ინგლისი ახორციელებდა. თუ მენშევიკების მოდავეობისა და საბჭოთა მთავრობის აკციების ახასიათი იგი ძირითადად შავი საღებავით სარგებლობდა, ახლა მხოლოდ და მხოლოდ თეთრ საღებავს ხმარობს. მისი წიგნის მკითხველს ინგლისი წარმოუდგება საქართველოს ინტერესების უანგარო დამცველად. რა თქმა უნდა, ჩვენ არც ველით ბურჟუაზიული მეცნიერისაგან საკუთარი მთავრობის პოლიტიკის მწვავე მხილებას. მაგრამ ობიექტურობის პრეტენზიის მქონე მკვლევარს ის მაინც შეეძლო, რომ დაეახასიათებინა ყველა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ გამოსაკვლევ პრობლემასთან. ლენგი ამას შეუშინდა.

წიგნში კრინტიც არ არის დაძრული მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში ინგლისის პოლიტიკის იმპერიალისტური ხასიათის შესახებ. ავტორი დუმილით უვლის გვერდს ინგლის-საფრანგეთ-იტალიის საიდუმლო მოლაპარაკებას ახლო აღმოსავლეთის განაწილების შესახებ და არ იხსენებს ინგლის-საფრანგეთის 1917 წლის 23 დეკემბრის შეთანხმებას, რომლითაც ამიერკავკასია განსაზღვრული იყო როგორც ინგლისის გავლენის სფერო. მუდროსის დროებითს ზავზე რომ ლაპარაკობს, იგი უფრავი პირობებიდან გამოპყოფს ერთს — ამიერკავკასიიდან გერმანიისა და თურქეთის ჯარების წასვლის შესახებ. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ანტანტის — და პირველ რიგში ინგლისის, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი სამხედრო ძალიერება ჰქონდა, — მთავარი მიზანი იყო მხოლოდ დაემარცხებინა მოწინააღმდეგე და ამ რაიონის ხალხებისათვის შესაძლებლობა მიეცა თვითონ გაენგიოთ თავიანთი შემდგომი ბედი. ნავთობის მრეწველთა ჭრილებში კი, რომლებიც განსაზღვრავდნენ ინგლისის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, ხომ არ მალავდნენ თავიანთ მძარცველურ განზრახვებს. ინგლისის ნავთობის ერთ-ერთი კომპანიის დირექტორმა გ. ალენმა პირდაპირ განაცხადა, ცუდი არ იქნებოდა ამიერკავკასიაში მეორე ინდოეთი ან მეორე ეგვიპტე შეგვექმნა.[15]

ამიერკავკასიაში ინგლისელთა კონკრეტულ მოქმედებაზე რომ გადადის, ლენგი ცდილობს ჩაუნერგოს მკითხველს, რომ, ეროდნენ რა საქართველოს საშინაო საქმეებში, ინგლისელები ისახავდნენ მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილურ მიზნებს ალედგინათ მშვიდობა ამიერკავკასიაში. მაგრამ ფაქტები, რომლებიც კარგად ცნობილია ავტორისთვისაც — ინგლისის „ფორეინ ოფისის" ყოფილი თანამშრომლისათვის, სხვას მეტყველებენ. ინგლისი თვითონ დაეინებით ცდილობდა პროვოკაციულად გამოეწვია შეტაკება საქართველოსა და სომხეთს შორის, რადგან სწორედ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა შესაძლებლობას აძლევდა მას შეეიყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე წესრიგის დამყარების ყალბი საბაბით. მოკლედ გავადევნოთ თვალი ამ ბებს.

1918 წლის დეკემბერში ინგლისელებმა, როცა საქართველოს-სომხეთის საზღვარზე ინციდენტებმა სისტემატური ხასიათი მიიღეს, ... ინგლისის ... ... თბილისზეც და ერეკანშიც ეწეოდნენ გაძლიერებულ პროპაგანდას, არწმუნებდნენ ორივე ქვეყნის არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს, რომ დიდი ბრიტანეთი თვითეულის მფარველია. 1918 წლის 7 დეკემბერს დ. თოფურიძე, მენშევიკების ხელისუფალთა წარმომადგენელი ბათუმში, თავის მთავრობას აცნობებდა: „...უეცბტერი (ბათუმში სპეციალური მისიით ჩამოსული ინგლისელი ოფიცერი. — ავტ.) დაეინებით მელაპარაკება ჩვენსა და სომხეთს შორის ურთიერთობის შესახებ. იგი მათს როლს ადარებს ებრაელების როლს და ცდილობს დამარწმუნოს, რომ ქართველებს განსაკუთრებით უნდა ეშინოდეთ სომხების ეკონომიური ბატონობისა, რომელებსაც, მისი აზრით, სასურველად მიაჩნიათ განდევნონ ქართველები თბილისიდან და დაიმორჩილონ ისინი. იგი ინ დასკვნად ამბობს, რომ ჩვენ არ უნდა ვსარგებლობდეთ სომეხთა კაპიტალებით, რომ ჩვენთვის გაცილებით უფრო სასურველია ინგლისელთა კაპიტალები..."[16]. ინგლისელები იმდენად აშკარად ალვიევებდნენ ქართველ-სომეხთა მტრობას, რომ ალშფოთებული საზოგადოებრიობის ზეგავლენით მენშევიკების მთავრობა იძულებული გახდა 15 დეკემბერს ოფიციალური პროტესტი განეცხადებინა ანტანტის სახელმწიფოთათვის (ე. ი. ფაქტიურად ინგლისისათვის) საზღვარზე შეტაკებათა გამო.[17] ინგლისის წარმომადგენლებმა საჭიროდაც კი არ მიიჩნიეს ეპასუხათ ამ პროტესტზე. 17 დეკემბერს მენშევიკების მთავრობამ საბრძოლო მზადყოფნისათვის მოუწოდა მოსახლეობას, 18 დეკემბერს დაიწყო მოხალისეთა ჩაწერა, ხოლო 21 დეკემბერს ომი დაიწყო.

ინგლისელები მხოლოდ ამას ელოდნენ. მათ იმავე დღეს აუწყეს მენშევიკებს, რომ ბრიტანეთის სარდლობამ გადაწყვიტა შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში. 22 დეკემბერს 15-ათასიანი დესანტი გადმოსხდა ბათუმში, ხოლო 23 დეკემბერს ინგლისელებმა მოსთხოვეს ნ. ყორდანიას მოემზადებინა შენობები ინგლისელი ჯარების დასაბინავებლად თბილისში.[18]

ახლა ვნახოთ, ინგლისის ინტერვენციამ ნამდვილი მშვიდობა თუ მოუტანა ქართველ ხალხს. ან მენშევიკების ლიდერის ყორდანიას 1919 წ. 15 თებერვლის განცხადება გენერალ უოკერისადმი: „სანამ ჩვენთან მოკავშირეები მოვიდოდნენ... არაფისთან არ ვიმობდით და მტრები არსად არ გვყოლია... მოკავშირეების მოსვლის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: ჩვენ განუწყვეტელივ ვომობთ. უწინარეს ყოვლისა ხომხეთის მოღალატური თავდასხმა, შემდეგ მოხალისეთა შემოტევა და, ბოლოს, თურქთა ურდოების შემოსევა ჩვენს ტერიტორიაზე".[19] ყორდანიას კი ხომ არა გვგონია უმიზეზოდ შეძლებოდა გამოეთქვა უკმაყოფილება ინგლისელთა მოქმედების გამო, — მენშევიკებს ინგლისის ჯარების ყოფნა მიაჩნდათ გარანტიად საქართველოს „ბოლშევიზაციის" წინააღმდეგ.

ინგლისელებს, რომლებიც ამიერკავკასიაშიც ერთგულად მისდევდნენ კოლონიზატორთა ნაცად მეთოდს „გათიშე და იბატონე", საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ რამდენადმე უფრო გაელრმავებინათ საქართველო-სომხეთის კონფლიქტი. მაგრამ ამაში იფარებოდა მათი შორსგამიზნული გეგმების ჩაფუშვის საშიშროება. ომმა არაჩვეულებრივად გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიაში. საქართველოსა და სომხეთის კომუნისტებმა ამხილეს მენშევიკების და დაშნაკების ანტიხალხური პოლიტიკა. კონფლიქტის გაგრძელების წინააღმდეგ გამოვიდნენ ორივე ქვეყნის მშრომელთა მასები და პროგრესული ინტელიგენცია. მეორე მხრივ, ომის დამთავრებაც ერთგვარ ხარგებლობას ამლევდა ინგლისელებს. საომარი მოქმედების შეწყვეტის დღეს, 31 დეკემბერს, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისში გაგზავნა ოფიციალური ნოტა, რომლის მიხედვითაც დიდი ბრიტანეთი საქართველოს „მფარველის" როლს კისრულობდა.[20] საზავო კონფერენციამ, რომელიც 10-დან 17 იანვრამდე ინგლისელი ოფიცრის თავმჯდომარეობით მუშაობდა, სადავო ლორეს რაიონი ინგლისის მმართველობაში გადასცა.

ასე ხორციელდებოდა პროგრამა ინგლის-საფრანგეთის საიდუმლო შეთანხმებისა რუსეთის ევროპული ნაწილის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ. ასეთი იყო ინგლისის „მშვიდობის მყოფლობის" ნეშმარიტი შინაარსი. შეიძლება მხოლოდ დავძინოთ, რომ თვით ინგლისში ძალადურ დაპყრობად მიაჩნდათ ინგლისის ჯარების შესვლა საქართველოში. ლეიბორისტთა კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 25 ივლისს მანჩესტერში გაიმართა, მოითხოვდა ინტერვენციის შეწყვეტას და ინგლისის ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან.[21]

ისღა დაგვრჩა ვთქვათ, როგორ აშუქებს ლენგი საბჭოთა საქართველოს ისტორიას, — თუ საერთოდ შეიძლება ლაპარაკი მის მიერ ამ ისტორიის გაშუქებასა და თუნდაც რამდენადმე თანმიმდევრულ გადმოცემაზე. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მთელ სოციალისტურ პერიოდს იგი მხოლოდ ორ თავს უთმობს. მაგრამ კიდევ უფრო დამახასიათებელია ის, თუ როგორ ეპყრობა ლენგი სხვადასხვა საკითხს ამ თემის შიგნით.

ინგლისელი ისტორიკოსის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ის ამბები, რომლებზეც გავლენა მოახდინა სტალინის პიროვნების კულტმა. რაზეც არ უნდა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

---

[1] „Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia", New York, 1955; „The Wisdom of Balahvar. A Christian Legend of the Buddha", London—New York, 1957 (1958); „Notes on Caucasian Numismatics" („The Numismatic Chronicle", ser. 6, vol. XVII, London; 1957); „Georgian Relations with France, During the Reign of Wakhtang VI 1711—1724" („Journal of Royal Asiatic Society", London, 1950); "Wisdom and Lies" („Bulletin of the School of Oriental and African Studies", vol. XVIII pt. 3, London, 1956); „Georgian Studies in Oxford" („Oxford Slavonic Papers", vol. 6, Oxford, 1958); „Catalogue of Georgian and Other Caucasian Printed Books in the British Museum", London-1962; „The Last Years of the Georgian Monarchy, 1658—1832", New York, 1957.

[2] D. M. Lang. A Modern History of Georgia. Reader in Caucasian Studies in the University of London, 1962.

[3] ციტირებულია **ნ. ბ. მახარაძის** ნაშრომის მიხედვით. აჯანყება ი

საბჭოთა სომხეთში

სომხური გრაფიკა მოსკოვში

მოსკოვში ჩრდილოეთ-დასავლეთის ხალხთა მეზეიმში გაიხსნა სომხური გრაფიკის გამოფენა. წარმოდგენილია ოცი ავტორის ასზე მეტი ახალი ნამუშევარი. მოსკოვში მაღალი შეფასება მისცეს სომხური ეროვნული ეპოსის „დავით სასუნელის“ ე. კორჩარინეულ ილუსტრაციებს, მ. აბელიანის დეკორაციულ გრავიურებს, გ. ხანჯიანის პოეტურ აკვარელებს ვ. აივაზიანის ოფორტებსა და ლინოგრავიურებს, რ. ბაბაიანის ილუსტრაციებს ეპოსისათვის „სიმღერა ჰაიავთაზე“.

ინსტიტუტები მისამართს იცვლიან

ერევნის ჩრდილოეთ უბანში — ქანაქერის პლატოზე დაიწყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის შვიდსართულიანი შენობის მშენებლობა, რაც 1966 წელს დამთავრდება. ქანაქერის პლატო მეცნიერების ქალაქად იქცა. აქ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის, ორგანული ქიმიის, სამშენებლო მასალათა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებია.

მთავრდება სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული გამოთვლითი ცენტრის მშენებლობა. წელს მეცნიერების ქალაქში დასასრულდებიან ბიოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

700 ათასი ავიამგზავრი

სომხეთის რესპუბლიკურ ავიახაზებზე დიდი გამოცოცხლება იყო გასულ წელს. საერთაშორისო ავიაციის სომხეთის ავიაჯგუფში 700 ათას მგზავრს მოემსახურა. სომხეთის ყოველდღიურ მესამე მოსახლეს ისარგებლა ავიატრანსპორტით.

მონომიცინის ახალი როლი

ანტიბიოტიკი მონომიცინი უკანასკნელ დრომდე ძუძუთა ბავშვების სამკურნალო პრეპარატად ითვლებოდა.

ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ეპიზოოტოლოგიის კათედრის თანამშრომლებმა პროფესორ ა. ბოიახჩიანის ხელმძღვანელობით ეს პრეპარატი გამოიყენეს ახალშობილი ხბოების სამკურნალოდ. სომხეთში მოწყობილმა პირველმა ცდამ დადებითი შედეგები მოგვცა.

პირველი პრემია სომეხ მსახიობს

დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა ცირკის მსახიობის ლეონიდ ენგიბარიანის სახელი. ამას წინათ მსახიობმა ახალ გრწყინვალე წარმატებას მიაღწია. ცირკის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

კოსმოსი უფრო გვიახლოვდება

სომხეთის სსრ. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ორსარკიანი ანტენის პროექტი შეადგინეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში.

პროექტის ერთ-ერთი ავტორია რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის ზემაღალსიხშირეთა ლაბორატორიის უფროსი პარის გერუნი.





სურათებზე: მარჯვნივ — ლაპარაკობს პარის გერუნი; დიდი რადიოტელესკოპის ორსარკიანი ანტენის მოქმედი მოდელი.

ფოტო გ. ბაღდასარიანისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მთის გულში

მაღალმთიან სოფელ კეჩუთის ბიბლიური მყუდროება მოტორების გუგუნმა დაარღვია. მოვიდნენ ადამიანები მთაში და თქვეს, მდინარე არფუ სევანს უნდა შეუუერთოთო. არ დაიჯერეს მოხუცებმა ეს ამბავი: სამი თუ ოთხი მთა ყოფს სევანს და სოფელს, მთებს ხომ არ დაძრავთ ადგილიდანო. თუ საჭიროა, მთებსაც დავძრავთო. ასე დაიწყო 48-კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა. წელიწადში 10 კილომეტრით შედიან მთების გულში მშენებლები. როცა გვირაბმშენებლები 48 კილომეტრი გვირაბის გაყვანას მორჩებიან, მუშაობას შეუდგებიან გეოგრაფები. რესპუბლიკის რუკაზე უნდა აღინიშნოს მდინარის ახალი კალაპოტი და სოფელ კეჩუთის ახალი ადგილმდებარეობა. სოფელ კეჩუთის ახლანდელი ტერიტორიის ფსკერზე მოექცევა, ძველი კეჩუთი კი ახალ ადგილას გადასახლდება. რა თქმა უნდა, ტურისტული ბილიკებიც შეუხვევს ახალი სოფლისაკენ.

საკავშირო ეკრანზე

ერევნის დოკუმენტური და ქრონიკალური ფილმების სტუდიამ გამოუშვა ორი ახალი ნაწარმოები — „ისტორიის ფურცლები“, რომელიც რუსეთ-სომხეთის კულტურულ ურთიერთობაზე მოგვითხრობს, და „მთის პატრული“. ეს კინომოთხრობა ასახავს სომხეთის რკინიგზელთა ცხოვრებას.

ფილმები საკავშირო ეკრანზეა მიღებული.

ხელოვნების სიხარული

ზარა დოლუხანოვას კონცერტი

ზარა დოლუხანოვა ისეთი ხელოვანია, რომელსაც ძალუძს მიანიჭოს ადამიანებს უმაღლესი ესთეტიკური სიამოვნება. მისი ყოველ ჩამოსვლა დიდხანს გვრჩებოდა მეხსიერებაში. ამჯერადაც ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული დოლუხანოვას კონცერტი ჭეშმარიტად საინტერესო აღმოჩნდა. კლასიკური კამერული ნაწარმოებებით დახვეწილი მისი ოსტატობა ახლებურად გადაიშალა საბჭოთა კომპოზიტორებისა და თანამედროვე უცხოელი ავტორების რეპერტუარში.

დოლუხანოვას ვოკალური მონაცემები უშრეტია, ხოლო ხმის ფლობა უმწიკლო. თავისთავად მისი ხმა არ წარმოდგენს არაჩვეულებრივ მხატვრულ მოვლენას, თუმცა მისი სიმღერა ჭეშმარიტად გვხიბლავს.

თვითეული ვოკალური მინიატიურა, დოლუხანოვას მიერ შესრულებული, ემოციებისა და სახეების სხვადასხვა საფყარო. თითქოს მათ სულ სხვადასხვანაირი შემსრულებლები მღერიან. და აი მსმენელს წინაშე გადაიშლება სხვარტი, ცხოვრებისეული სურათები, გაწყობილებათა მთელი გამა. დოლუხანოვას საყვარელი სახეების სამყაროში შევყავართ. ის არსად არ გახვევთ თავს არც ერთ გახწყობილებას, არც ერთ მხატვრულ სახეს, მაგრამ მისი სიმღერა იმდენად გამომსახველი და ჰარმონიული, იმდენად ადამიანური და დამაჯერებელი, რომ უნებლიეთ განიცდით მის გაელენას. ამგვარი ზემოქმედება შეეძლია მხოლოდ იმას, ვინც ჩასწვდა მაღალ ხელოვნების უფაქიზეს საიდუმლოებას.

სწორედ ასე აღიქვამთ ზ. დოლუხანოვას შესრულებით სტრავინსკის „გაზაფხულის“ ყანრულობას, ნამდვილ რუსულ სულს, რომელიც თავიდანვე, პირველი ტაქტებიდანვე მუსორგსკის განიალური სახეების ასოციაციას იწვევს, ან რუსული ზამთრის განუმეორებელ პოეზიას სვირიდოვის „ზამთრის გზაში“, ბრიტენის „ნანას“ ნაზ ალერსს და ცნობილი „ავე-მარიას“ გრძნობათა სიდიადეს, და, ბოლოს, ტიპიური პროკოფიევისებური, ცხოვრებისეული სახეებისა და სიტუაციების სიმძაფრეს, შესანიშნავად შესრულებულ რეალისტურ სიმღერა-სცენა „ენატარტარაში“.

შომღერლის ხმის დიაპაზონი დიდია; მოცარტის ვოკალური ფაქტურის სინჯრნარესა და გამჭვირვალობას იგი ისეთივე სიმსუბუქით ძლევს, როგორც შუბერტის სიმღერების კანტილენას, განსაკუთრებით კი მელოდიური რეჩიტატივის სპეციფიკურობას, რომელიც თანამედროვე მუსიკის ინტონაციურ წყობას ეყრდნობა. ამიტომ ასე მშვენერია დოლუხანოვა თანამედროვე რეპერტუარში; პროკოფიევის, სვირიდოვის სიმღერებში, განსაკუთრებით თავისი მუსიკალური ენით და ფორმით მეტად საინტერესო ტარიელრდევეის ვოკალურ ციკლში ახმადულინის სიტყვებზე.

ზ. დოლუხანოვას სიმღერა მკაფიოდ ინდივიდუალურია, მას თავისი საკუთარი სტილი, შესრულების საკუთარი მანერა აქვს, მაგრამ ზოგჯერ იდეალურიც ყი ერთგვარად საკამათოა. მაგალითად, შუბერტის სიმღერის „გრეთჰენი ჯარასთან“ დოლუხანოვას მუსიკალური ინტერპრეტაცია აშკარად სცილდება შუბერტის სიმღერის ჩანაფიქრსა და განწყობილებას. მომღერალმა მასში იმდენი ექსპრესიულობა შეიტანა, ისე გაამუქა ფერები, რომ სიმღერამ დაკარგა შუბერტის ლირიკის სისადავე და პოეტურობა. ნაცვლად სიმღერისთვის დამახასიათებელი პირველი სიყვარულის უმანკოებისა და სინათლის გრძნობისა, მომღერალმა მასში ტრაგიკული სასოწარკვეთილება ჩაქსოვა.

„გრეთჰენის“ ამგვარი დაძაბულობის შემდეგ „ტყის მეფის“ შესრულებისას დოლუხანოვას აშკარად აღარ ეყო დრამატული მგზნებარება, დინამიკური კონტრასტების სიმძაფრე, რაზედაც აგებულია ბალადა „ტყის მეფე“ — მსოფლიო ვოკალური ლირიკის ერთ-ერთი უბადლო ნიმუში.

ზარა დოლუხანოვას, მომღერალსა და შემსრულებელს, იშვიათი შინაგანი ძალა აქვს. კონცერტის დამთავრებისას მხოლოდ ნაწილობრივ ეთხოვებით მომღერალს. მსმენელი კიდევ დიდხანს რჩება მისი ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების მაღლით გამსჭვალული.

მ. ფიჩხაძე.

• • •

სურათზე: მღერის ზარა დოლუხანოვა.

ფოტო ელ. გინზბურგისა.

28 იანვარს, დღის 4 საათზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის პრ. № 29) **გაიმართება ქ. თბილისის მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების გამგეების სემინარის მორიგი მეცადინეობა.**

ჩემპიონატები • მატჩები

ბსკა ემზადება

მართალია, ფეხბურთის მოყვარულთათვის დღეები მეტად ნელა გადის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იანვარი უკვე მიიწურა და ხაკავშირო ჩემპიონატიც შორეულ მომავალს აღარ ეკუთვნის.

ემზადებიან დიდი ფეხბურთის წარმომადგენლები, მათ შორის ვასული წლის პრიზიორები, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელები, რომლებმაც შარშან თბილისის დინამოელებთან და მოსკოვის ტორპედოელებთან ერთად გვიჩვენეს ლამაზი, შემტევი ფეხბურთი.

აი რას გვიამბობს ცსკა-ს გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ჩისტოხვალოვი სეზონისათვის მზადების შესახებ:

— ჩვენი მთავარი მიზანია არა მარტო შეინარჩუნოთ შარშანდელი მიღწევები, არამედ ვიზრუნოთ გამარჯვების უფრო მაღალი საფეხურისათვის. სიახლენი „კოლექტივში არც თუ ისე დიდია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გუნდიდან რამდენიმე მოთამაშის წასვლას. მაგალითად, გრეკოვი გადავიდა მოსკოვის „ტორპედოში“, სემიგლაზოვი — „ნეფტიანიკში“, ბისტროვი — „ლოკომოტივში“, კონდრაშკინი — ოდესის სკა-ში.

მათ ნაცვლად ჩვენ არავინ მიგვიღია სხვა გუნდებიდან, მაგრამ სათადარიგო შემადგენლობაში გვყავს შესანიშნავი ახალგაზრდობა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

წვრთნას 11 იანვრიდან შევუდექით. ჰოკეი, ტანვარჯიში, აკრობატიკა და სათხილამურო კროსები, ამასთანავე ვარჯიში დარბაზში ბურთით — აი რით არიან დაკავირთული ჩვენი ფეხბურთელები. ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგა ბ. კაზაკოვი.

5 თებერვლიდან ერთი თვით ბულგარეთში მივიმგზავრებით, სადაც მოვაწყობთ ამხანაგურ მატჩებს ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან. აქედან კი სოხუმს ვეწვევით. უკვე მოვილაპარაკეთ და საკონტროლო მატჩები გვექნება „ზენიტთან“, „შინიკთან“ და დონის როსტოვის სკა-სთან.

პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე ცსკა-ს ექნება 15 აპრილს ოდესაში ადგილობრივ სკა-სთან.

◆

კიევის ჩემპიონაჟის პრიზიორები

გუშინ დილით კიევში გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრონშტეინს გარკვეული მატერიალური უპირატესობა ჰქონდა ბორისენკოსთან და გაიმარჯვა.

ამრიგად, გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი 13 ქულით ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა (12,5 ქულა).

ვ. კორჩნოის, დ. ბრონშტეინისა და მ. ტალს სეზონიმოდ გადაეცათ ოქრის, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

უძლიერესთა რიგებში

მოსკოვი, 26 იანვარი. (**საკდესის კორ.**). მეოთხე დღეა მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულნი იკრიბებიან „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში, რადგან მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს ბევრი უძაღლესი კლასის ოსტატი — ევროპის ჩემპიონები დ. როუ და მ. შენონი (ინგლისი), უნგრელი სპორტსმენი ზ. ბერცეკი.

მიუხედავად ამისა ქალთა შორის გაიმარჯვა სსრ კავშირის პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან მოსკოველი მოსწავლე **ზ. რუდნოვა** და კიეველი სტუდენტი **ს. გრინბერგი.** მათ მოიგეს ყველა შეხვედრა.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა პირველმა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ტურნირის უკანასკნელ დღემდე წაუგებლად იბრძოდა, დაიკავა მეორე ადგილი. ჩვენმა ნაკრებმა ანგარიშით 0:5 წააგო გადამწყვეტი შეხვედრა შვეიცის ნაკრებთან, რომელიც წინა დღეს დაამარცხა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა გუნდმა.

28 იანვარს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები პირად პირველობაზე.

ფარშმატებლობა სტარტზე

დონეცკში, გომელსა და ლუგანსკში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობა ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის.

წინასწარ შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის სამივე გუნდმა წარმატებელი სტარტი აიღო. თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა და ქალთა გუნდები დამარცხდნენ ლენინგრადის „სპარტაკისა“ და „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელთა კოლექტივებთან 1:3, 0:3. სოხუმის „კოლმეურნის“ ქალთა გუნდმა წააგო მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:3.

ვ. ბ. ჩახავა



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებას გამოაკლდა თავისი საქმის ენთუზიასტი, გულისხმიერი ექიმი და მეცნიერი პროფესორი ვასილ გიორგის-ძე ჩახავა.

ვ. ჩახავა დაიბადა 1894 წელს სოფელ სერგეიში (გეგეჭკორის რაიონი). 1914 წელს დაამთავრა თბილისის მე-5 ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1924 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა ორდინატორად სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში.

ვ. ჩახავა 1928-დან 1936 წლამდე მუშაობდა აბაშის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ, ხოლო 1936 წლიდან თბილისში, ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მან, 1940 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე ვ. ჩახავა საბჭოთა არმიის რიგებშია. 1945 წელს იგი კვლავ დაუბრუნდა საკვლევ ინსტიტუტს, სადაც ხელმძღვანელობდა სამეანო განყოფილებას.

1955 წელს ვ. ჩახავას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1958 წელს — პროფესორის წოდება. იგი 42 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

შრომისმოყვარე, გულისხმიერი და თავმდაბალი პროფ. ვ. ჩახავას ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ბ-ნ ლენგის ექსკურსიები საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში

(დასასრული)

წერდეს, იგი განუწყვეტლივ უბრუნდება პიროვნების კულტის შედეგად დაშვებულ შეცდომებს და დაწვრილებით აღწერს სოციალისტური კანონიერების დარღვევებს ამ პერიოდში. ამასთან იგი, რასაკვირველია, ცდილობს წარმოადგინოს ისინი როგორც საქართველოში ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარების კანონზომიერი შედეგი.

არასასიამოვნო ელფერს, რომელიც თხრობის ასეთ მეთოდს აქვს, ჩანს, თვითონ ავტორიც გრძნობს. ამ მეთოდს ფორმალური გამართლება რომ მოუნახოს, მას მოპყავს ქართული ხალხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო“ და ამით გვაგრძნობინებს, რომ თავის მოვალეობად მიიჩნია ილაპარაკოს სიმართლე, როგორიც უნდა იყოს იგი.

მაგრამ, ჯერ-ერთი, მკაცრი და პირუთვნელი სიმართლე იმ შეცდომების შესახებ, რომლებიც პიროვნების კულტის პერიოდში იყო დაშვებული, ქართველმა ხალხმა მოისმინა ჯერ კიდევ 1956 წელს კომუნისტური პარტიისაგან. არაფერს ახალს ლენგი არ ამბობს და არც შეუძლია თქვას. მეორე, ლენგი ამბობს არა მარტო სიმართლეს. საბჭოთა წყაროებიდანვე ამოღებულ მასალებში იგი მოხერხებულად აქსოვს საკუთარ გაზეიადებებსა და მონაგრებს. ლენგს ქართველი მკითხველი კი არა ჰყავს მხედველობაში, რომელიც კარგად ხედავს, სად არის ავტორი მართალი და სად ცდება, ხოლო სად პირდაპირ ტყუის, არამედ თავისი თანამემამულენი, რომლებმაც ცუდად იციან საქართველოს ისტორია, და ცდილობს გააოცოს ისინი „წმენდასა“ და „რეპრესიებზე“ ლაპარაკით.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და საერთოდ კომუნიზმისადმი თავისი მკითხველების მტრული დამოკიდებულების გამოწვევას ავტორი ცდილობს სხვა საკითხების განხილვის დროსაც. მას მოსწონს კერძო მეწარმეობის დროებითი აუკრძალა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლებში და, პირიქით, არ მოსწონს კოლექტივიზაცია. ჩვენ ვიგებთ, რომ ყველა ქართველი გლეხი, არა მარტო კულაკები, არამედ ღარიბებიც „თავგანწირული მამაცობით ებღაუჭებოდა თავის ერთპიროვნულ მეურნეობას“. ღარიბებმა მხარი დაუჭირეს კულაკებს მაშინაც კი, როცა მათ ფაქტიურად გამოუცხადეს ომი საბჭოთა ხელისუფლებას. „სინამდვილეში მთელმა ქართველმა სოფელმა მიიღო მონაწილეობა უწესოებაში“, — არწმუნებს ლენგი საქმეში ჩაუხედავ ინგლისელ მკითხველს, რომელმაც ყოველივე ზემოთქმული მთლიანად ისე უნდა გაიგოს, რომ არც ერთი თუნდაც ყველაზე ღატაკი ქართველი გლეხი არ ეთანხმებოდა მიწის კოლექტიური დამუშავების გონივრულობას!

მაგრამ თუ სოციალისტურ საქართველოში ყველაფერი ასე ცუდად იყო, რანაირად მოხდა, რომ ქვეყანა, რომელიც მენშევიკებს, ლენგის აზრით, შეეძლოთ გადაექციათ სამოთხედ გლეხების, ხელოსნებისა და ვაჭრებისათვის, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიფარა ფაბრიკებისა და ქარხნების, სამადნეებისა და ელექტროსადგურების ქსელით, გიგანტური ნახტომი გააკეთა კულტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის ზრდაში?

სულ გვერდნახევარი დაუთმო ლენგმა კარს ხუთწლედების შესახებ უკანასკნელისწინა თავში და ერთი გვერდი — კარს „მრეწველობა და მშენებლობა“ უკანასკნელ თავში. მან ერთი გვერდით ამოწურა ისეთი დიდმნიშვნელოვანი თემა, როგორიც არის ქართველი ხალხის მონაწილეობა დიდ სამამულო ომში. უფრო მეტიც, ცდილობს რა შესაბამისი „ტონალობა“ მისცეს თავის ნამბობს, ლენგი ერთ აბზაცში ჩამოთვლის ხუთწლედების მანძილზე აგებულ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებს, ხოლო შემდგომ ორ აბზაცში მკითხველს აძრწუნებს „რეპრესიებზე“ თხრობით.

ტენდენციური აღწერების, არაერთგზის გამეორებული გაზვიადებებისა და მონაგონების ხლართში იმალება სიმართლის შემცველი ცალკეული სტრიქონები. ლენგს მოჰყავს ზოგიერთი ციფრი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის შესახებ, გაკვრით აღიარებს, რომ სოციალიზმის დროს აუვავდა მეცნიერება და განათლება. მაგრამ მის წიგნში ადვილი როდია ძებნა ამ ნამდვილი, მშპაშპრი სიმართლისა იმის შესახებ, თუ როგორი გახდა საქართველო სოციალიზმის დროს.

მაშ ასე, მოგზაურობა ბ-ნ ლენგის „საქართველოს თანამედროვე ისტორიის“ ფურცლებზე დამთავრებულია. მაგრამ არის კიდევ ერთი უკანასკნელი საკითხი, რომელზეც გვინდა შევჩერდეთ. ლენგის წიგნის წაკითხვის შემდეგ ძნელია თავიდან აიცილოთ შთაბეჭდილება, რომ ავტორს ხურს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს მას ეკუთვნის . საკმაოდ დიდი დამსახურება და თითქმის პრიორიტეტი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის დამუშავებაში. მაგალითად, 284-285 გვერდებზე იგი წერს: „არც ერთ ევროპულ ენაზე არ არსებობს საქართველოს თანამედროვე ისტორიის დალაგებული გადმოცემა. ეს წიგნი დაწერილია ძირითადად ორიგინალური რუსული და ქართული წყაროების მიხედვით, თუმცა ავტორმა გამოიყენა აგრეთვე მემუარები, მგზავრის წერილები და სპეციალური ნაშრომები ინგლისურ და სხვა ევროპულ ენებზე, რომლებიც ასე თუ ისე აშუქებენ განსახილველი პერიოდის ცალკეულ ასპექტებსა და ფაზებს“. ამ „სპეციალური ნაშრომების“ სია იშვიათ გამონაკლისს გარდა შეიცავს იმ პირთა ქმნილებებს, რომლებმაც თავგამოდებული ანტიკომუნისტებისა და ფალსიფიკატორების სახელი მოიპოვეს. აქ არიან თხზულებანი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ჰარი ლუკისა, ი. დეიჩერისა, ბ. ვულფისა, ფ. კაზემზადესი, რომელსაც ლენგი აქებს კვლევის „სანიმუშო გულმოდგინებისათვის“.

იბადება კითხვა: საბჭოთა ისტორიოგრაფიას რაღა ვუყოთ? დასავლეთელმა მკითხველმა უნდა ივარაუდოს, რომ ეს ისტორიოგრაფია სულაც არ არსებობს თუ რომ ბ-ნი ლენგი მას არ იცნობს?

საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ იმ ინგლისელებს, რომლებიც ხელში აიღებენ ლენგის წიგნს, ჩვენ ვურჩევთ წაიკითხონ კრებული „სკკპ XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“. იქიდან ისინი შეიტყობენ, რომ არასრული მონაცემებით 1921-დან 1961 წლამდე შემდეგი რაოდენობით გამოქვეყნდა მონოგრაფიები და სტატიები (გაზეთების სტატიების ჩაუთვლელად), რომლებიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს განიხილავენ: არქეოლოგიაში — 157, ხელოვნების ისტორიაში — 156, ეთნოგრაფიაში — 240, ნუმიზმატიკაში — 30, ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში — 59, საქართველოს ძველ ისტორიაში — 450, საქართველოს შუა საუკუნეთა ისტორიაში — 300, საქართველოს კაპიტალიზმის პერიოდის ისტორიაში — 107, ხოლო საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის თემატიკაში — 298 წიგნი და 183 სტატია[22]. საქართველოს სარწმუნო ისტორია, დამყარებული რუსული და ქართული წყაროების ყოველმხრივ შესწავლაზე, გაშუქებულია ამ გამოკვლევებში და არა ვულფის, დეიჩერისა და კაზემზადეს ნაწერებში.

ხოლო რაც შეეხება ინგლისელი მკითხველის შესაძლო ეჭვს ლენგის მიერ საბჭოთა ისტორიოგრაფიის არცოდნის შესახებ, ეს ეჭვი შეგვიძლია ახლავე გავფანტოთ. სრული საფუძვლით შეიძლება ითქვას, რომ ლენგი იცნობს ჩვენი მეცნიერების ნ. ბერძენიშვილის, პ. გუგუშვილის, შ. ჩხეტიას, ა. ფირცხალაიშვილის, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, გ. მეგრელიშვილის, ა. იოსელიანის, მ. დუმბაძის, ი. ხუციშვილის, ვ. მოჩალოვის, ო. მარკოვას, პ. რატიანის, ლ. გორგილაძის, ი. კაჭარავას, ნ. სტურუას, ა. სურგულაძის, ა. ფანცხავას, ნ. ტყეშელაშვილის და სხვათა შრომებს. უფრო მეტიც, ბევრი ფაქტი და მონაცემები, ხოლო ზოგჯერ მსჯელობაც, მას ნასესხები აქვს საბჭოთა ავტორებისაგან. ეს განსაკუთრებით გვხვდება თვალში, როცა ვკითხულობთ შესავალ ისტორიულ ექსკურსს, თავებს წარსული საუკუნის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესახებ, 60-იანი წლების რეფორმების, 1905 წლის რევოლუციის შესახებ.

ინგლისელმა მეცნიერმა საბჭოთა ნაშრომების მახალები და დასკვნები რომ გამოიყენა, ამას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. მაგრამ რატომ არსად არ მიუთითებს ამ ნაშრომებზე და საერთოდ მათგან მხოლოდ ორ-სამს იხსენიებს? იქნებ ეშინია, რომ უსაყვედურებენ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას, ოღონდ, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული მეცნიერება ბრალად სდებენ იმას, რომ შემოქმედებითი კვლევის „უნარი არ შესწევს“ ან იქნებ ეშინია დაკარგოს თავისი „ორიგინალობა“?

ასეა თუ ისე, ლენგ-ისტორიკოსის ღირსება სრულებით ვერ რჩება მოგებული ვერც ერთ, ვერც მეორე შემთხვევაში. იგი ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, განუცხადებია, რომ გულწრფელად სწადია რაც შეიძლება ღრმად შეისწავლოს ქვეყანა, მიხვდეს მისი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების დიდი ცვლილებების აზრს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ მისწრაფების ბეჭედი აზის მის ნაშრომებს საქართველოს ძველი და შუა საუკუნეთა ისტორიის შესახებ, რომლებიც ნამდვილ ინტერესს წარმოადგენენ არა მარტო ინგლისელი მკითხველისთვის, არამედ საბჭოთა მკითხველისთვისაც. სამწუხაროდ, ობიექტური მკვლევარის სახეს სრულებით არ შეესაბამება ლენგის უკანასკნელი წიგნი. ვუბრუნდებით რა მის მიერ მოხსენიებულ ქართულ ანდაზას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხშირმა სტუმარმა ამჯერად პირს უკან ტყუილი თქვა მის შესახებ. დაე გაიხსენოს მან, რომ ქართველი ხალხის რწმენით ეს შეუთავსებელია მეგობრობის ფიცთან.

გ. ღამბაშიძე,

გ. მარგიანი.

ჟურნალი „ისტორია სსსრ“ № 4, 1964 წ.

22. „სკკპ XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“, თბილისი, 1962, გვ. 9-10.

საბჭოთა მფრინავის მსოფლიო რეკორდი

სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის მფრინავმა **გალინა კორჩუგანოვამ** 100 კილომეტრიანი შეკრული წრის უბანზე ცნობილ კონსტრუქტორ ა. ს. იაკოვლევის ერთადგილიანი სპორტულ-საპილოტაჟო ახალი ტურბორეაქტიული თვითმფრინავით დაამყარა მსოფლიოს რეკორდი. წინასწარი მონაცემებით, მან განავითარა საშუალო სიჩქარე 710 კილომეტრი საათში. (საკდესი).

ოლიმპიადა

ბ-ნ ალბერტ ეინშტეინის ბიბლიოთეკა

ბ-ნ ალბერტ ეინშტეინის ბიბლიოთეკა, ბ-ნ ეინშტეინის ინდივიდუალური